

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



თამარ ქამუშაძე

ფინანსური მდგომარეობის ზოგადი ანალიზი შპს „იფქლის“ მაგალითზე

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ/ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი მარინა მაისურაძე

თბილისი 2020

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი შესრულებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მნიშვნელობის წარმოსაჩენად. განხილულია ის ძირეული საკითხები და მაჩვენებლები, რომელთა საშუალებითაც ხდება ანალიზური საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი. ამისათვის ნაშრომი გაყოფილია ორ: თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილად.

თეორიულ ნაწილში განხილულია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი ასპექტები, გამოკვეთილია ანალიზის არსი და მიზანი, განსაზღვრული და დახასიათებულია ანალიზისთვის საჭირო საინფორმაციო წყაროები, ახსნილია ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე გაანგარიშებული ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი მაჩვენებლები.

პრაქტიკულ ნაწილში კი შპს „იფქლის“ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით გაკეთებულია ფინანსური ანალიზი, შესაბამისად გამოანგარიშებულია კოეფიციენტები და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები. ვცლად არის განხილული ბალანსის სტრუქტურა და მისი დინამიკა. გამოთვლილია ლიკვიდურობის კოეფიციენტები პერიოდის დასაწყისისთვის და ბოლოსთვის, მათი შედარებით კი გაკეთებულია დასკვნები კომპანიაში მიმდინარე ცვლილებებზე. გაანალიზებულია კომპანიაში ფულადი სახსრების ბრუნვა დინამიკაში, დათვლილია საწარმოს მომგებიანობა და რისკის დონე. ბოლოს შემოწმებულია საწარმო ფინანსურ სტაბილურობაზე და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

საზოგადოდ, ფინანსური ანგარიშგების ანალიზის საფუძველზე გამოტანილი დასკვნები მმართველ რგოლთან ერთად ინვესტორებსაც ეხმარება დასკვნების გაკეთებაში. თუ მმართველობა ანალიზის შემდგომ განსაზღვრავს საქმიანობის წარმართვის გზებს, ინვესტორები იღებენ გადაწყვეტილებას დააბანდონ თუ არა სახსრები ამ კომპანიაში. შესაბამისად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მეტად საჭირო და მნიშვნელოვანია ჩვენს ეპოქაში.

Annotation

The present paper is performed to illustrate the importance of analyzing the financial condition of a company. Paper provides main issues and indicators, through which financial condition of the analyzed company is determined. For this purpose, the paper is divided into two parts: theoretical and practical.

In the theoretical part, main aspects of the analyses of the financial conditions are discussed, the essence and purpose of the analysis are outlined, the information sources required for the analysis are explained and characterized, and the main indicators of the financial condition analysis based on financial statements are interpreted.

In the practical part, a financial analysis is made based on the financial statement of “Ifkli Ltd”, accordingly, the coefficients are calculated, and the relevant conclusions are drawn. The structure of the balance sheet and its dynamics are discussed widely. Liquidity ratios are calculated for the beginning and end of the period, and in comparison, conclusions are made about the current changes in the company. The cash flow dynamics in the company are analyzed, and the profitability of the enterprise and the level of risk are calculated. Finally, the financial stability of the enterprise is checked, and the relevant conclusions are drawn.

In general, the conclusions made from the analysis of financial statement, together with the management, also help investors to make conclusions. If the management determines the ways of performing the activity after the analysis, the investors make a decision whether to invest the funds in this company. Consequently, financial statement reporting is extremely useful and important in our era.

შინაარსი

შესავალი.....	5
თავი1. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი ასპექტები.....	7
1.1 ფინანსური მდგომარეობის ანალიზის არსი, მიზანი და ინფორმაციული წყარო	7
1.2 საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი მაჩვენებლები	13
თავი 2. შპს იფელის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი	26
2.1 შპს იფელის ფინანსური მდგომარეობის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი.....	27
2.2 შპს იფელის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი კოეფიციენტების საფუძველზე .	41
დასკვნა.....	50
გამოყენებული ლიტერატურა	53
დანართი	54

შესავალი

თემის აქტუალობა. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი თანამედროვე მსოფლიოში საკმაოდ მნიშვნელოვანი და აქტუალურია, ვინაიდან ეხმარება როგორც საწარმოს მმართველობას, ასევე ინვესტორებს ფინანსური რისკების და პერსპექტივების განსაზღვრაში. საწარმოს წარმატებულად და მომგებიანად ფუნქციონირება ფინანსურ სტაბილურობაზეა დამოკიდებული, რისთვისაც აუცილებელია საწარმოს ფინანსური შედეგების სათანადოდ გაანალიზება, პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაწყვეტის გზების ძიება.

კონკურენცია, რომელიც თითქმის ყველა ბაზარზე გვხვდება, აიძლებს საწარმოების ხელმძღვანელობას მუდმივად აკონტროლებდნენ თავიანთ რესურსებს, მათი დაფინანსების წყაროებს, საკუთარ შემოსავლებსა, თუ ხარჯებს, რათა გადარჩნენ და განაგრძონ ფუნქციონირება. ამისათვის კი ინფორმაციული ბაზების სრულყოფა და მათი სათანადო ანალიზია საჭირო.

სამაგისტრო ნაშრომის **მიზანს** შპს „იფქლის“ მაგალითზე ფინანსური მდგომარეობის ანალიზის განხორციელება წარმოადგენს. რისთვისაც ფინანსური ანალიზის ზოგადი მაჩვენებლების განსაზღვრა და შემდეგ მათი დახმარებით აღნიშნული საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება უნდა მოხდეს. ეს უზრუნველყოფს ანალიზის შედეგების გამოვლენას, როგორც მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს.

კვლევის საგანი. საგანს წარმოადგენს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მისი გადახდისუნარიანობა და ლიკვიდურობა, ასევე გაკოტრების რისკები.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს - შპს „იფქლი“.

კვლევაში გამოყენებული მეთოდები. კვლევის პროცესში გამოყენებულია საწარმოს ფინანსური ანალიზისთვის საჭირო შემდეგი მეთოდები:

- ✓ ვერტიკალური [სტრუქტურული] ანალიზი
- ✓ ჰორიზონტალური [დინამიკური] ანალიზი
- ✓ კოეფიციენტების ანალიზი

კვლევის შედეგები. ფინანსური მდგომარეობის ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა შპს „იფქლის“ 2018 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება. ინფორმაციის

ძირითად წყაროს წარმოადგენს ბუღალტრული ბალანსი, მოგება/ზარალისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგება, ვინაიდან ისინი საწარმოში მიმდინარე მოვლენების ყველაზე უკეთ ამსახველნი არიან და გვაწვდიან ინფორმაციას ისეთ მნიშვნელოვან სიდიდეებზე, როგორცაა საწარმოს რესურსები, მათი დაფინანსების წყაროები, შემოსავლები, ხარჯები და ფულადი სახსრების მოძრაობა.

როგორც ანალიზმა აჩვენა, შპს „იფელი“ ხასიათდება ფინანსური სტაბილურობით და რისკის დაბალი დონით.

თავი1. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი ასპექტები

1.1 ფინანსური მდგომარეობის ანალიზის არსი, მიზანი და ინფორმაციული წყარო

თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებული ტენდენციის თანახმად, საწარმოს წარმატებით და მომგებიანად ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია ფინანსური ასპექტების წინა პლანზე წამოწევა, შესაბამისად გაზრდილია ფინანსური ანალიზის როლიც. ფინანსური ანალიზი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით გვაძლევს შესაძლებლობას განვსაზღვროთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და გავაკეთოთ პროგნოზები. მის მიზანს წარმოადგებს ბიზნესის საქმიანობის შედეგების განზოგადებულ - ფულად ფორმაში გამოხატვადა როგორც შიდა, ასევე გარე მომხმარებლებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. ის არა მხოლოდ აფასებს საწარმოს გადახდისუნარიანობასა თუ მომგებიანობას, არამედ იძლევა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების გზებისა და რეზერვების გამოვლენის შესაძლებლობას.

ფინანსური მდგომარეობა საწარმოს მიმდინარე საოპერაციო,საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის მაჩვენებელთა ერთობლიობაა და საწარმოსრესურსების ფაქტიურ ოდენობას, მათ განთავსებასა და გამოყენებას გვიჩვენებს.ფინანსურიმდგომარეობის ქვეშ იგულისხმება საწარმოს უნარი, დააფინანსოს თავისი საქმიანობა. ფინანსური მდგომარეობის ანალიზით ვლინდებაის ფაქტორები და პრობლემები, რომლებმაც შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს კომპანიის სტაბილურობა და იძლევა საშუალებასგანისაზღვროს კომპანიის ფინანსური შესაძლებლობები და დაისახოს გაუმჯობესების გზები.

ფინანსური ანალიზის საგანი მოიცავს ფინანსურ მაჩვენებელთა დინამიკას, ამ ცვლილების მიზეზებს, ცვლადების ცვლილების გავლენას ერთმანეთზე და მთლიანად საწარმოზე.

ანალიზის სუბიექტებად გვევლინებიან ფინანსური დირექტორები და შესაბამისი სპეციალისტები, ასევე ხელშეკრულების საფუძველზე მსხვილ საწარმოებში კონსალტინგური ფირმებიც. ხოლო ობიექტს წარმოადგენს საწარმოს საქმიანობა და იმ

ორგანიზაციათა ფინანსური ოპერაციები, რომლებიც ფინანსურ გათვლებს ახორციელებენ.

ფინანსური ანალიზის გამოყენებით შესაძლებელი ხდება საინვესტიციო მიზნებიდან გამომდინარე დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება, ასევე საწარმოს მოგებისა და რენტაბელობის დინამიკის, პერსპექტიული ცვლილებებისა და საწარმოს დაფინანსების წყაროების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება, რაც მთავარი მიზნის, საკუთარი კაპიტალის ზრდა და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება ბაზარზე, მიღწევას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

ვინაიდან ბალანსის აბსოლუტური მაჩვენებლები, განსაკუთრებით ინფლაციის პერიოდში, რთულია შესადარ სიდიდეებად აქციო, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი ძირითადად შეფარდებით მაჩვენებლებს ეფუძნება. აბსოლუტური მაჩვენებლები ეკონომიკურ მოვლენებსა და მათ შედეგებს რაოდენობაში, ანუ მოცულობაში ასახავენ. ფარდობითი მაჩვენებლები ასახავენ რაიმე სახის რესურსის გამოყენების დონეს და რომელიმე აბსოლუტური ცვლადის შეფარდებით მიიღება. რისკის შეფასებისა და შესაძლო გაკოტრების პროგნოზირებისთვის ფარდობითი მაჩვენებლები შეიძლება შევადაროთ საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს, ასევე სხვა საწარმოთა თუ გასული წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს, რაც საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ საწარმოს ძლიერი და სუსტი მხარეები, მისი შესაძლებლობები და ტენდენციები.

ფინანსური ანალიზი შეიძლება იყოს შიდასაწარმოო და საწარმოთაშორისო. შიდასაწარმოო ანალიზი დაფუძნებულია ერთ კონკრეტულ საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე, ხოლო საწარმოთაშორისო ანალიზი მსგავსი საწარმოების მაჩვენებლების შედარებას ახდენს და არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ინვესტორებისთვის.

ფინანსური ანალიზი უმეტესწილად ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მზადდება. შესაბამისად მის ძირითად საინფორმაციო ბაზას საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგება წარმოადგებს. ამას გარდა ინფორმაციისთვის გამოიყენება საწარმოს შიდა და გარე აუდიტორული დასკვნები, ბიზნეს-გეგმა, საშუალო დარგობრივი მაჩვენებლები, მაღალი რეიტინგის მქონე კომპანიების ფინანსური

მაჩვენებლები, დირექტორთა საბჭოსა და საერთო კრების გადაწყვეტილებები, დაკვირვების მასალები და სხვა.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებულ ფინანსურ სურათს. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია შიდა თუ გარე მომხმარებლებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას აძლევს. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების მიზანი მომხმარებელთა ფართო წრისათვის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი ცვლილებების, საწარმოს საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მომხმარებელს შეუძლია დაადგინოს საწარმოს ფინანსური სტრუქტურა, ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა, აგრეთვე ეკონომიკური გარემოს ცვლილებებთან შეგუების უნარი. ამიტომაცაა, რომ ფინანსურ ანგარიშგებას ყავს მრავალი მომხმარებელი: ინვესტორები, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები, სხვადასხვა კომპანიები, დაქირავებით მომუშავეები, სამთავრობო უწყებები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

ფინანსური ანგარიშგება შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: ბალანსი, მოგება - ზარალის ანგარიშგება, ანგარიშგება საწარმოს საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ, ფულადი ნაკადების ანგარიშგება და სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები.

ბალანსში, რომელიც აჩვენებს რა სახის ქონებას ფლობს საწარმო და რა წყაროდანაა ეს ქონება მიღებული, ასახულია ინფორმაცია ფულად ერთეულებში გამოხატული საწარმოს აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის შესახებ პერიოდის დასაწყისსა და ბოლოსათვის, ის წარმოადგენს ყველაზე ინფორმაციულ კომპონენტს ფინანსური ანალიზისთვის.

ანალიზის მიზნებისთვის ბალანსს გარდაქმნიან იმგვარად, რომ აქტივები დაჯგუფდეს მათი ლიკვიდურობის, ხოლო პასივები დაფარვის ვადის შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს) ბალანსის ელემენტებს განმარტავს, როგორც:

აქტივი - რესურსი, რომელსაც წარსულში მომხდარი სამეურნეო საქმიანობის შედეგად ფლობს კომპანია, აკონტროლებს და მისგან გარკვეულ სარგებელს მოელის.

ვალდებულება - წარსულში მომხდარი სამეურნეო საქმიანობის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობაა და ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსის კონპანიიდან გასვლას საჭიროებს.

ბალანსის ანალიზი ხორციელდება შემდეგი საფეხურების მიხედვით:

- ბალანსის დინამიკისა და სტრუქტურის ანალიზი
- საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზი
- ბალანსის ლიკვიდურობისა და საწარმოს გადახდისუნარიანობის ანალიზი
- აქტივების შეფასება
- საქმიანი აქტიურობის ანალიზი
- საწარმოს ფინანსური მდგომარეობის დიაგნოსტიკა

ბალანსისაგან განსხვავებით, მოგება-ზარალის ანგარიშგება იძლევა შესაძლებლობას კომპანიის შესახებ ინფორმაცია მივიღოთ გარკვეული პერიოდის განმავლობაში და მოვახდინოთ როგორც წარსული და მიმდინარე მაჩვენებლების შედარება, ასევე მომავლის პროგნოზი, დავგეგმოთ მოგების ზრდის ღონისძიებები. აქ თავმოყრილია საწარმოს მიერ გაწეული ყველა ხარჯი და მიღებული შემოსავალი, რაც შესაძლებელს ხდის გაანალიზდეს დანახარჯების სტრუქტურა, მოგების მაჩვენებლების შედარებითი დახასიათება, დანახარჯებისა და შემოსავლების მომგებიანობის სხვადასხვა მაჩვენებლები.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს) მოგება - ზარალის ელემენტებს განმარტავს, როგორც:

შემოსავალი - საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს ეკონომიკური სარგებლის ზრდა, აქტივების ზრდით ან ვალდებულების შემცირებით, რაც საწარმოს საკუთარ კაპიტალში აისახება და მესაკუთრეთა დამატებითი შენატანების გარეშე იწვევს მის ზრდას.

ხარჯები - საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, აქტივების გასვლით ან ვალდებულების ზრდით, რაც საწარმოს საკუთარ

კაპიტალში აისახება და მესაკუთრეთა მიერ წილის განაწილების გარეშე იწვევს მის შემცირებას.

მოგება - ზარალის ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე დგინდება ისეთი მნიშვნელოვანი სიდიდეები, როგორცაა: საწარმოს რენტაბელობა, რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობა, პროდუქციის წარმოების რენტაბელობა, საწარმოს ფინანსური შედეგი - მოგება ან ზარალი და წმინდა მოგება, რომელიც რჩება საწარმოს განკარგულებაში. ასევე მნიშვნელოვანია მასში აისახოს ერთი აქციის შემოსავლიანობის საბაზისო ან გაზავებული მაჩვენებელი.

რაც შეეხება ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ის გვაწვდის ინფორმაციას ფულადი საშუალებებისა და მათი ექვივალენტების მოძრაობის შესახებ მთელი წლის მანძილზე, რაც საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის შედეგია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება შეიძლება მომზადდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი მეთოდით, თუმცა ანალიზისათვის უფრო გამოსადეგი პირდაპირი მეთოდით მომზადებული ანგარიშგებაა.

ანალიზური კუთხით, ფულადი ნაკადების ანგარიშგება გვეხმარება გავიგოთ, თუ რამდენად დროულად იფარება დებიტორული თუ კრედიტორული დავალიანებები, შესწევს თუ არა საწარმოს უნარი საკუთარი აქტივების გამოყენებით მიღებული ფულით დაფაროს ვალდებულებები, საჭიროებს თუ არა დამატებითი სახსრების მოზიდვას, როგორია ფულის ბრუნვის სიჩქარე და აქვს თუ არა დეფიციტი ამ კუთხით.

საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება, სადაც ვხვდებით მონაცემებს საანგარიშგებო წლის წმინდა მოგების გამოყენებისა თუ ზარალის შესახებ, სააქციო კაპიტალის, საემისიო კაპიტალის და რეზერვების შესახებ, იძლევა ინფორმაციას ინვესტირებული და რეინვესტირებული კაპიტალის ანალიზისთვის. ასახავს საკუთარი კაპიტალის ყველა ელემენტის ცვლილებას და შედეგად შესაძლებელს ხდის გაკეთდეს დასკვნები, წლის ბოლოს მდგომარეობით რამდენად შენარჩუნდა საწარმოში კაპიტალი და რამდენად ეფექტურია რეზერვების შექმნის პოლიტიკა.

ფინანსური ანგარიშგება სრულ ფინანსურ ინფორმაციას უნდა აწვდიდეს მის მომხმარებლებს და უნდა იყოს ნეიტრალური. გარე მომხმარებლებმა უნდა შეძლონ მასზე დაყრდნობით გაკეთებული ანალიზით მიიღონ მართებული გადაწყვეტილებები

მოცემულ კომპანიასთან მომავალი საქმიანი ურთიერთობის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, ხოლო შიდა მომხმარებლებმა უნდა დასახონ გზები საწარმოს უფრო ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის და მომგებიანობის დონის ზრდისთვის.

ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტი ურთიერთდაკავშირებულია და წარმოადგენს ერთ მთელს, რადგანაც ასახავს ერთიდაიგივე სამეურნეო ოპერაციების სხვადასხვა ასპექტს.

1.2 საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი მაჩვენებლები

საწარმოები დასახული მიზნებიდან გამომდინარე აკონტროლებენ სხვადასხვა სახის მატერიალურ თუ არამატერიალურ რესურსს, ხოლო მათი ეფექტიანად მართვისთვის ახორციელებენ საწარმოს განკარგულებაში არსებული ქონების ყოველმხრივ ანალიზს, რაც გულისხმობს ამ რესურსების მოცულობის, სტრუქტურის და დინამიკის მაჩვენებლების შესწავლას. გარდა ამისა, აუცილებელია მათი დაფინანსების წყაროების სტრუქტურის ოპტიმალურობის დადგენა.

ბუღალტრული ბალანსის ანალიზისთვის გამოიყენება ორი სახის მიდგომა: ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი.

ვერტიკალური ანალიზი სწავლობს ბალანსის სტრუქტურას, რაც ხვედრითი წილის მაჩვენებლებით ხასიათდება. შედეგად განისაზღვრება აქტივების და პასივების ელემენტების ხვედრითი წილის ცვლილებები და კეთდება შესაბამისი დასკვნები. მის შეზღუდულობას წარმოადგენს შემადგენელი მუხლების ხვედრითი წილის ცვლილების ურთიერთგავლენა.

ჰორიზონტალური ანუ დინამიკური ანალიზი ასახავს მაჩვენებლების პროცენტულ ცვლილებას საბაზისო წელთან შედარებით.

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის შესწავლისთვის გამოიყენებენ ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა:

- აქტივების მოცულობის ცვლილება - განისაზღვრება ბალანსში არსებული ინფორმაციის საფუძველზე,
- მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი - რომელიც მიიღება მიმდინარე აქტივების ფარდობით აქტივების მთლიან ჯამთან გამრავლებული 100% -ზე, გვიჩვენებს მთელი აქტივების რა ნაწილს შეადგენს მიმდინარე ქტივები.
- გრძელვადიანი აქტივების ხვედრითი წილი - რომელიც მიიღება გრძელვადიანი აქტივების ფარდობით აქტივების მთლიან ჯამთან გამრავლებული 100% -ზე, გვიჩვენებს მთელი აქტივების რა ნაწილს შეადგენს გრძელვადიანი ქტივები.

- ძირითადი საშუალების ცვეთის კოეფიციენტი - მიიღება დაგროვილი ცვეთის თანხის ფარდობით ძირითადი საშუალების პირვანდელ ღირებულებასთან და გვიჩვენებს ძირითადი საშუალების რა ნაწილი გადავიდა პროდუქციის თვითღირებულებაში.
- ძირითადი საშუალების განახლების კოეფიციენტი - წლის მანძილზე შეძენილი ძირითადი საშუალების ღირებულების შეფარდება წლის ბოლოს არსებულ ძირითადი საშუალების ღირებულებასთან.
- ვარგისიანობის კოეფიციენტი - ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების შეფარდება ძირითადი საშუალების პირვანდელ ღირებულებასთან.
- წმინდა აქტივის ღირებულება - სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ვალდებულების სიდიდეს შორის, აჩვენებს საკუთარი სახსრებით შეძენილი აქტივის სიდიდეს.
- საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფა - გვიჩვენებს რამდენად ფარავს საკუთარი საბრუნავი საშუალებები მატერიალურ მარაგებს.

ლევერიჯი წარმოადგენს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს. ის ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში გამოჩნდა და საწარმოს აქტივებისა და პასივების სტრუქტურის ოპტიმიზაციას გულისხმობს, მოგების მაქსიმიზაციის მიზნით.

ლევერიჯი წარმოადგენს ფაქტორს, რომლის მიმარ შედეგობრივი მაჩვენებლები დიდი მგრძობელობით გამოირჩევიან, მისმა მცირე ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს შედეგობრივი მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ცვლილება.

ვინაიდან ნებისმიერი ნასესხები სახსრების წილის ზრდა იწვევს ფინანსური ლევერიჯის დონის ზრდას, შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური ლევერიჯი ფინანსური რისკის მაჩვენებელია.

განასხვავებენ ორი სახის ლევერიჯს:

1. ფინანსური ლევერიჯი;
2. ოპერაციული ლევერიჯი

ფინანსური ლევერიჯი ასახავს ურთიერთკავშირს მოგებასა და საკუთარი და ნასესხები კაპიტალის თანაფარდობას შორის. მისი კოეფიციენტი ზომავს კომპანიის ფინანსურ რისკებს, ასევე კომპანიის ვალის ოდენობას საკუთარ კაპიტალთან შედარებით. მიუთითებს შეუძლია თუ არა ბიზნესს იყოს მომგებიანი.

ფინანსური ლევერიჯი შესაძლებელია გაანგარიშებული იქნას შემდეგი ფორმულით:

$$\text{ფინანსური ლევერიჯი} = \frac{\text{აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

რაც უფრო აღემატება აქტივები საკუთარ კაპიტალს, მით უფრო მაღალი იქნება ნასესხები კაპიტალის წილი და შესაბამისად ფინანსური რისკი გაიზრდება. თუ ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი 1-ის ტოლია საწარმო თავის საქმიანობას აფინანსებს მხოლოდ საკუთარი საშუალებებით, შესაბამისად რისკი არ არსებობს. რაც უფრო მეტია მისი მნიშვნელობა 1-ზე, მით უფრო მაღალია ფინანსური რისკის ხარისხი.

ოპერაციული ლევერიჯი კი მუდმივ და ცვლად ხარჯებზე დაყრდნობით ასახავს მოცემული საწარმოს დანახარჯების სტრუქტურას. ითვლება, რომ ფირმები, რომლებსაც მაღალი მუდმივი დანახარჯები აქვთ, მაღალ ოპერაციულ ლევერიჯს ფლობენ.

ოპერაციული ლევერიჯი შეიძლება განისაზღვროს რამდენიმე ალტერნატიული კოეფიციენტით:

$$\text{ოპერაციული ლევერიჯი} = \frac{\text{მუდმივი ხარჯები}}{\text{ცვლადი ხარჯები}}$$

ოპერაციული ლევერიჯი - ეს არის საწარმოს მოგებაზე გავლენის პოტენციური შესაძლებლობა პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურისა და მისი გამოშვების მოცულობის ცვლილების საფუძველზე.

ოპერაციული ლევერიჯის კოეფიციენტი წარმოების მოცულობის ცვლილებისადმი მთლიანი მოგების მგრძობიანობას ასახავს. მისი მაღალი დონის პირობებში პროდუქციის წარმოების უმნიშვნელო დაცემა ან გადიდება არსებით გავლენას ახდენს მოგების ცვლილებაზე.

დაბოლოს, კომბინირებული ლევერიჯი წამოადგენს განზოგადებულ მაჩვენებელს, რომელიც ოპერაციული და ფინანსური ლევერიჯის ნამრავლია. ის გამოხატავს საერთო რისკს, რაც დაკავშირებულია საშუალებების შესაძლო უკმარისობასთან საწარმოო და ფინანსური ხარჯების დასაფარავად. კომბინირებული ლევერიჯი შესაძლოა გამოითვალოს შემდეგი ფორმულით:

$$\text{კომბინირებული ლევერიჯი} = \frac{\text{წმინდა მოგების პროცენტული ცვლილება}}{\text{რეალიზაციის პროცენტული ცვლილება}}$$

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებაში გადახდისუნარიანობის და ლიკვიდურობის მაჩვენებლები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, რადგან იძლევიან ინფორმაციას საწარმოს მდგრადობაზე მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობის ანალიზით.

გადახდისუნარიანობა ფინანსური ვალდებულებების სრულად და დროულად დაფარვას გულისხმობს, რისთვისაც აუცილებელია საწარმოში ფულისა და მისი ექვივალენტების საკმარისი რაოდენობით არსებობა, ხოლო ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებების არარსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმო შესაძლოა გადახდისუნაროდ გამოცხადდეს. გადახდისუნარიანობა ქმნის პირობებს ვალდებულებების დასაფარად და დამოკიდებულია ბალანსსა და ლიკვიდურობაზე.

ლიკვიდურობა გულისხმობს საწარმოს უნარს, მოახდინოს ვალდებულებების დროული დაფარვა. ლიკვიდურად მიიჩნევა ქონება, თუ მას აქვს უნარი ერთწლამდე ვადაში გარდაიქმას გაცლის საშუალებად. განასხვავებენ აქტივების, ბალანსის და საწარმოს ლიკვიდურობას.

ლიკვიდურობა გადახდისუნარიანობასთან შედარებით ნაკლები ცვალებადობით ხასიათდება, მერყეობს გარკვეულ ფარგლებში და იძლევა დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება ხდება რიგი აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლებით. აბსოლუტურ მაჩვენებლებში ძირითადად საკუთარი საბრუნავი საშუალებები მოიაზრება.

ლიკვიდურობის ანალიზისთვის ხელსაყრელია ლიკვიდურობის კლების მიხედვით დალაგებული აქტივების და დაფარვის ვადების ზრდის შედაბამისად დალაგებული მოკლევადიანი ვალდებულებების შედარება.

ფულად საშუალებებად გარდაქმნის სიჩქარის მიხედვით აქტივებს შემდეგ კატეგორიებად აჯგუფებენ:

- მაღალლიკვიდური აქტივები - საწარმოს ფულადი საშუალებები და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები (ფასიანი ქაღალდები)
- სწრაფად რეალიზებადი აქტივები - თორმეტ თვემდე ვადით გაცემული დებიტორული დავალიანებები
- ნელა რეალიზებადი აქტივები - მარაგები, დაუმთავრებელი წარმოება, გადახდილი დღგ, თორმეტ თვეზე მეტი ვადით გაცემული დებიტორული დავალიანებები
- ძნელად რეალიზებადი აქტივები - გრძელვადიანი აქტივები: ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები, დაუმთავრებელი მშენებლობები

ხოლო დაფარვის ვადების ზრდის შედაბამისად დალაგებული მოკლევადიანი ვალდებულებები შემდეგ კატეგორიებში ერთიანდებიან:

- სასწრაფო ვალდებულებები - კრედიტორული დავალიანებები და ბანკის მოკლევადიანი კრედიტები, რომელთა გადავდის ვადა დამდგარია
- მოკლევადიანი ვალდებულებები - მოიცავს მოკლევადიან სესხებს და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებს
- გრძელვადიანი ვალდებულებები - ბანკის გრძელვადიანი სესხები, ვალდებულებები ფინანსური იჯარიდან, გრძელვადიანი თამასუქები, გასანაღდებელი ობლიგაციები
- მუდმივი პასივები - მუდმივად საწარმოს განკარგულებაში მყოფი საკუთარი კაპიტალი.

ლიკვიდურობის ანალიზი შემდეგი მაჩვენებლების გაანგარიშებით მიმდინარეობს:

- ფუნქციონირებადი სამუშაო კაპიტალის მანევრირების მაჩვენებელი

ფუნქციონირებადი სამუშაო კაპიტალის მანევრირების მაჩვენებელი - იგივე საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების კოეფიციენტი ახასიათებს საკუთარი საბრუნავი სახსრების იმ ნაწილს, რომელიც აბსოლუტურად ლიკვიდურია. მერყეობს 0-დან 1-მდე შუალედში და მიიღება თანაფარდობით:

$$\begin{aligned} & \text{საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების კოეფიციენტი} = \\ & = \frac{\text{ფულადი სახსრები}}{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრების ჯამი}} \end{aligned}$$

- მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი - ასახავს მიმდინარე ვალდებულების ერთეულზე რა რაოდენობის მიმდინარე აქტივი მოდის და მიიღება მიმდინარე აქტივის მიმდინარე ვალდებულებასთან თანაფარდობით. საუკეთესო შემთხვევაში მისი სიდიდე 2-ს უტოლდება, თუმცა საწარმოების განსხვავებულობიდან გამომდინარე ეს რიცხვი შეიძლება შეიცვალოს. საბრუნავი აქტივების თანაფარდობის ზრდის შესაბამისად იზრდება საწარმოს ლიკვიდურობის ხარისხიც.

$$\text{მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

- სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (კრიტიკული შეფასების კოეფიციენტი) ასახავს მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილია ფულადი საშუალებების და დებიტორული დავალიანებების ჯამი. იდეალურ შემთხვევაში ეს სიდიდე ერთს უტოლდება. მისი განსაზღვრისას არ გაითვალისწინება სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რადგან მათ უმრავლესობას მომენტალურად ფულად ქცევა არ შეუძლიათ. გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი საშუალებები და დებიტორული დავალიანებები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

- აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი გამოყოფს მოკლევადიანი ვალდებულებების იმ ნაწილს, რომლის დაუყოვნებლივ დაფარვაც შესაძლებელია ყველაზე ლიკვიდური აქტივებით. შესაბამისად, ეს კოეფიციენტი ფულად საშუალებებსა და მათ ეკვივალენტებს ემყარება, მისი ოპტიმალური მნიშვნელობა 0.2-დან 0.3-მდე მერყეობს და გაიანგარიშება ფორმულით:

$$\text{აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი საშუალებები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

- საკუთარი საბრუნავი სახსრების ხვედრითი წილი მარაგების დაფარვაში

საკუთარი საბრუნავი სახსრების ხვედრითი წილი მარაგების დაფარვაში განსაზღვრავს მარაგების ღირებულების იმნაწილს, რომელიც საკუთარი საბრუნავი სახსრებით მეშვეობით იფარება. მისი სიდიდე 50%-ს უნდა აღემატებოდეს.

$$\begin{aligned} & \text{საკუთარი საბრუნავი სახსრების ხვედრითი წილი მარაგების დაფარვაში} = \\ & = \frac{\text{საკუთარი საბრუნავი საშუალებები}}{\text{მარაგები}} \end{aligned}$$

- მარაგების დაფარვის კოეფიციენტი

$$\text{მარაგების დაფარვის კოეფიციენტი} = \frac{\text{დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები}}{\text{მარაგები}}$$

აღნიშნული მაჩვენებლით შესაძლებელია კომპანიის მდგრადობის განსაზღვრა. როდესაც ის 1-ზე ქვემოთაა, საწარმოს ფინანსური მდგომარეობა არამდგრადად მიიჩნევა. მარაგების დაფარვის კოეფიციენტი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ის წყაროები, რომლებიც მარაგების დასაფარად გამოიყენება. მარაგების დაფარვის „ნორმალურ“ წყაროებს მიეკუთვნება საკუთარი საბრუნავი სახსრები, მოკლევადიანი სესხები, ვალდებულება მოწოდებიდან და მიღებული ავანსები.

ფინანსური სტაბილურობა - საწარმოს მატერიალური მდგომარეობა, რომლის პირობებშიც მას შეუძლია საქმიანობის თავისუფლად, უწყვეტად წარმოება; საწარმო ფინანსურად მდგრადია, თუკი უზრუნველყოფილია საკუთარი საბრუნავი თუ გრძელვადიანი სახსრებით. სტაბილურობა გულისხმობს არა მხოლოდ ფირმის უნარს, უზრუნველყოს წარმოების პროცესი ფულადი სახსრებით, არამედ დროულად დაფაროს სასესხო თუ სხვა ვალდებულებები.

საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ანალიზი იძლევა საშუალებას შეფასდეს კომპანიის ფინანსური დამოუკიდებლობა, ვინაიდან დაკავშირებულია საწარმოს საერთო ფინანსურ სტრუქტურასთან „საკუთარი კაპიტალი - ნასესხები კაპიტალი“. მისი გაანგარიშება დაფუძნებულია როგორც აბსოლუტურ, ისე ფარდობით მაჩვენებლებზე. ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლებად შეიძლება განვიხილოთ და გამოვიყენოთ კოეფიციენტები, რომლებიც ახასიათებენ ბალანსის აქტივებისა და პასივების სტრუქტურას, ასევე თანაფარდობას აქტივებისა და პასივების ცალკეულ მუხლს შორის.

ფარდობით მაჩვენებლებს განეკუთვნება:

➤ *საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი* =

$$= \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მოზიდული კაპიტალი}}$$

მისი მინიმალური მნიშვნელობა 1-ის ტოლია და ზრდა დადებით მოვლენად მიიჩნევა, ახასიათებს საწარმოს ზოგად ფინანსურ სტრუქტურას.

➤ *საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი* =

$$= \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{აქტივის ჯამი}}$$

აღნიშნული კოეფიციენტი ასახავს საკუთარი კაპიტალით შეძენილი ქონების წილს და სასურველია აღემატებოდეს 0.5-ს.

➤ *საკუთარი კაპიტალის ფარდობა პერმანენტულ კაპიტალთან* =

$$= \frac{\text{საკუთარი კაპიტალი} - \text{პრივ. სააქციო კაპ.}}{\text{აქტივები} - \text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

გამოიყენება ბიზნესის რისკის ხარისხის შესაფასებლად. რაც მეტად აღემატება ნასესხები კაპიტალი საკუთარს, მით მეტად მაღალია რისკის დონეც.

➤ *საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფა* =

$$= \frac{\text{საკ. კაპიტ.} + \text{გრძელ. ვალდებ.} - \text{გრძელ. აქტივები}}{\text{მიმდინარე აქტივები}}$$

ვინაიდან ფორმულის მრიცხველში მოცემული სიდიდე შეესაბამება საკუთარი საბრუნავი საშუალებების სიდიდეს, ეს მაჩვენებელი ასახავს მიმდინარე აქტივებში სსს-ის წილს.

➤ *ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი* =

$$= \frac{\text{აქტივის ჯამი}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

ასახავს კომპანიის საკუთარი კაპიტალის ერთეულზე აქტივების რა რაოდენობა მოდის. როდესაც ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა იზრდება, იზრდება რისკიც, რომ საწარმო სხვებზე დამოკიდებული გახდება, რაც სტაბილურობას საფრთხეს შეუქმნის. როდესაც კოეფიციენტი 1-ის ტოლია, საწარმო სრულად კონტროლდება მესაკუთრეების მიერ და არის დამოუკიდებელი.

➤ *მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი* =

$$= \frac{\text{ვალდებულებები}}{\text{აქტივები}}$$

გვიჩვენებს აქტივების ყოველ ერთეულზე ვალდებულებების მოცულობას და საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტთან ერთად 1-ს უტოლდება.

➤ *საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი* =
$$= \frac{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

ეს კოეფიციენტი ასახავს საკუთარ კაპიტალში საბრუნავი საშუალებების წილს, ანუ საკუთარი კაპიტალის რა ოდენობაა დაბანდებული მიმდინარე საქმიანობებში.

- *გრძელვადიანი დაბანდების სტრუქტურის კოეფიციენტი* = *გრძელვადიანი ვალდებულებები / გრძელვადიანი აქტივები*

ვინაიდან გრძელვადიან აქტივების დასაფინანსებლად უმეტესად გრძელვადიან ვალდებულებებს იყენებენ, ამიტომ ითვლიან ამ კოეფიციენტს და იგებენ გრძელვადიან აქტივებში გრძელვადიანი ვალდებულებების წილს.

- *გრძელვადიანი ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი* = *გრძელვადიანი ვალდებულებები / გრძელვადიანი ვალდებულებები + საკუთარი კაპიტალი*

გამოიყენება საწარმოს პასივების ანალიზისას და ასახავს გრძელვადიანი ვალდებულებების წილს საწარმოს პასივებში. ამ კოეფიციენტის ზრდა მიანიშნებს მოზიდული სახსრების ზრდაზე და შესაბამისად უარტოფით მოვლენად ითვლება, ზრდის საწარმოს დამოკიდებულებს სხვებზე.

- *მოზიდული კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი* = *გრძელვადიანი ვალდებულებები / ვალდებულებები*

აჩვენებს ვალდებულებებში გრძელვადიანი ვალდებულებების წილს.

- *პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი* = *მოგება პროცენტისა და გადასახადის გადახდამდე / საპროცენტო თანხა*

მჭიდროდ უკავშირდება ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტს და გამოიყენება პროცენტის გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებული რისკის შესაფასებლად. როდესაც მისი მნიშვნელობა > 1-ზე, ნიშნავს, რომ საწარმოს არ აქვს პრობლემები პროცენტის დაფარვასთან დაკავშირებით.

ფინანსური სტაბილურობის ანალიზი ყოველი თარიღისთვის ავლენს, რამდენად სწორად იმართებოდა ფინანსური რესურსები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

მთავარია, რომ ფინანსური რესურსების მდგომარეობა შეესაბამებოდეს საბაზრო მოთხოვნებს და პასუხობდეს გამოწვევებს. საწარმოს არასტაბილური მდგომარეობა გამოიწვევს გადახდისუნარობას, ხოლო „ჭარბი ფინანსური სტაბილურობა“ შეაფერხებს კომპანიის განვითარების შესაძლებლობას, რადგანაც საწარმოში ჭარბად იქნება მარაგები და რეზერვები. ამგვარად, ფინანსური სტაბილურობის არსი გამოიხატება ფინანსური რესურსების ეფექტიანი ფორმირებით, განაწილებითა და გამოყენებით.

ფინანსური მდგომარეობა ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის ანალიზთან ერთად განისაზღვრება ფინანსური სტაბილურობის შეფასებით. საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზს ატარებენ არა მხოლოდ კოეფიციენტების მეთოდით, არამედ წმინდა აქტივებისა და აბსოლუტურ მაჩვენებელთა ანალიზის მეშვეობითაც.

ფინანსური სტაბილურობის ტიპი ასახავს იმის ხარისხს, თუ რამდენად შეუძლია საწარმოს განვითარდეს უპირატესად დაფინანსების საკუთარი წყაროების ხარჯზე.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის დასახასიათებლად არსებობს ფინანსური სტაბილურობის ოთხი ტიპი:

1. აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობა. ასეთი ტიპი ხასიათდება იმით, რომ საწარმოს მთლიანი მარაგი იფარება საკუთარი საბრუნავი სახსრებით, ე.ი კომპანია არაა დამოკიდებული კრედიტორებზე, მიღებულია, რომ საკუთარი საბრუნავი სახსრების წილი მატერიალურ მარაგებში 50%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. ასეთი სიტუაცია გვხვდება საკმაოდ იშვიათად. აღნიშნული ტიპი გამოიხატება შემდეგი უტოლობით:

$$\text{მატერიალური მარაგები} < \text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}$$

2. ნორმალური ფინანსური სტაბილურობა. ამ შემთხვევაში საწარმო გარდა საკუთარი საბრუნავი სახსრებისა, მარაგების დასაფარად იყენებს ასევე გრძელვადიან მოზიდულ სახსრებს. ასეთი ტიპის დროს ადგილი აქვს შემდეგ უტოლობას:

$$\text{საკ. საბრ. სახსრები} < \text{მატერ. მარაგები} < \text{მარაგების დაფინანსების}$$

„ნორმალური“ წყაროები

3. არამყარი ფინანსური მდგომარეობა - ხასიათდება გადახდისუნარიანობის დარღვევით, თუმცა არის საშუალება წონასწორობის აღდგენა, მაგალითად,

დებიტორული დავალიანებების შემცირების ან მარაგების ბრუნვადობის დაჩქარების მეშვეობით. არამდგრადი ფინანსური მდგომარეობა გამოიხატება უტოლობით:

მატერიალური მარაგები > მარაგების დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები

4. კრიტიკული ფინანსური მდგომარეობა - საწარმო იმყოფება გაკოტრების პირას, რადგანაც ფულადი სახსრები, მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება ვერ ფარავს კომპანიის კრედიტორულ დავალიანებასაც კი.

საწარმოებში ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლებს ანგარიშობენ საწარმოს აქტივების მდგომარეობისა და სტრუქტურის, ასევე მათი დაფინანსების წყაროებით უზრუნველყოფის დონის შესასწავლად. ეს მაჩვენებლები აფასებენ ინვესტორთა და კრედიტორთა დაცულობის ხარისხს, რადგან ასახავენ კომპანიის უნარს, დაფაროს გრძელვადიანი ვალდებულებები.

ეკონომიკური სარგებლის მისაღებად საწარმოები ფლობენ გარკვეული სახის რესურსებს. რომელშიც მფლობელები წინასწარ აბანდებენ სახსრებს. სწორედ ამ ავანსირებული სახსრების გამოყენების ტემპსა და სიჩქარეს ახასიათებს საწარმოს საქმიანი აქტიურობის ცნება. ყველა მფლობელისთვის მნიშვნელოვანია რაც შეიძლება დროულად დაიბრუნოს ის ფულადი სახსრები, რომელიც ნედლეულის შესაძენად დაიხარჯა. მით უფრო აქტიურად ითვლება ბაზარი, რაც უფრო ცოტა დრო სჭირდება რესურსებში განივთებულ ფულად თანხებს უკან დასაბრუნებლად.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობის შესაფასებლად მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ავანსირებული ღირებულების კვლავ ფულად გადაქცევის პერიოდზე დაკვირვებას. რაც უფრო ახლოსაა ეს პერიოდი დასაშვებ ნორმირებულ დროსთან, მით უფრო დროულად შეძლებს საწარმო შეიძინოს ახალი რესურსები, დაფაროს დავალიანებები და აამაღლოს მომგებიანობა. შესაბამისად ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის აჩქარება დადებითი მოვლენაა საწარმოსთვის და იწვევს ფულადი სახსრების გამოთავისუფლებას, ხოლო ბრუნვადობის შენელება პირიქით, უარყოფითი შედეგების მომტანია და დამატებითი სახსრების მოძიების საჭიროებას ქმნის. შესაბამისად საწარმოებში მუდმივად მიმდინარეობს ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის აჩქარების გზების ძიება.

რესურსები ჯგუფებიან მოკლევადიან და გრძელვადიან აქტივებად მათი გამოყენების მიხედვით, შესაბამისად ამ რესურსებში დაბანდებული სახსრებიც განსხვავებულ დროში უბრუნდებათ მესაკუთრებს. გრძელვადიანი აქტივების შესაძენად დახარჯული სახსრები რამდენიმე წელიწადში ერთხელ, ხოლო მიმდინარე აქტივებში ავანსირებული სახსრები წელიწადში რამდენჯერმე უბრუნდება საწარმოს.

მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულების, ანუ საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის ხარისხი ბრუნვადობის სამი ტიპის მაჩვენებლით შეისწავლება.

1. ბრუნვის რიცხვი - ასახავს რამდენჯერ შემობრუნდება ავანსირებული ღირებულება წლის განმავლობაში.

$$\begin{aligned} \text{ბრუნვის რიცხვი} &= \\ &= \frac{\text{წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი}} \end{aligned}$$

ასევე გამოიყენება ფორმულა

$$\text{ბრუნვის რიცხვი} = \frac{365 \text{ დღე}}{\text{ერთი ბრუნვის პერიოდი დღეებში}}$$

2. ბრუნვის პერიოდი დღეებში - ასახავს იმ დღეების რაოდენობას, რომელიც ავანსირებულ ღირებულებას სჭირდება ერთი შემობრუნებისთვის.

$$\text{ბრუნვის პერიოდი დღეებში} = \frac{\text{მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი} * 365}{\text{წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან}}$$

3. დაყოვნების კოეფიციენტი - ასახავს ერთი ლარი შემოსავლის მისაღებად ავანსირებული ღირებულების რა ნაწილი უნდა იყოს მუდმივად დაბანდებული.

$$\text{დაყოვნების კოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი}}{\text{წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან}}$$

მნიშვნელოვანია, რომ ამ მაჩვენებლების გაანგარიშებისას ფულადი საშუალებები გამოვრიცხოთ მიმდინარე აქტივებიდან, რადგან მათ ბრუნვა უკვე დასრულებული აქვთ, ხოლო სიდიდეები ავიღოთ საშუალო წლიური მნიშვნელობით. აღნიშნული

მაჩვენებლების გამოსათვლელად საჭირო ინფორმაცია ასახულია ბალანსსა და მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

თავი 2. შპს იფქლის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი

ანალიზის ობიექტია - შპს „იფქლი“ (შემდგომში საწარმო) დაფუძნებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2006 წლის 24 თებერვალს. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პურ-პროდუქტების, არახანგრძლივი თუ ხანგრძლივი შენახვის საკონდიტრო ნაწარმის, ორცხობილების და მშრალი ნამცხვრების წარმოება და რეალიზაცია. განეკუთნება მეორე კატეგორიის საწარმოს და არ გააჩნია შვილობილი თუ მეკავშირე საწარმოები. მისი პროდუქცია იყიდება თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, გორში, მცხეთაში, ფოთში, ზესტაფონში, მარნეულისა და თეთრი წყაროს რაიონებში და კახეთის რეგიონში. მაღალი კონკურენციის მიუხედავად, შპს იფქლი დღესაც ლიდერ პოზიციას იკავებს პურ-პროდუქტების ბაზარზე.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის გამოყენებულია 2019 წლის 24 სექტემბერს აუდიტორული ფირმა ს.ბ. ფინანს-სერვისის მიერ მომზადებული დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა, სადაც ასახულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს იფქლის ფინანსური ანგარიშგება.

2.1 შპს იფქლის ფინანსური მდგომარეობის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი

დანართი №1 - ში წარმოდგენილია შპს იფქლის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთ კომპონენტი - ბალანსი, სადაც ასახულია ინფორმაცია აქტივებზე [მიმდინარე და გრძელვადიანი], ვალდებულებებზე [მიმდინარე და გრძელვადიანი] და საკუთარ კაპიტალზე. საზოგადოდ აქტივების დაფინანსების წყაროს სწორედ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი წარმოადგენს, შესაბამისად შპს იფქლის ბალანსში დაცულია ტოლობა:

$$\text{აქტივები} = \text{ვალდებულებები} + \text{საკუთარი კაპიტალი}$$

საწარმოს აქტივები შედგება ისეთი მიმდინარე აქტივებისაგან, როგორცაა: ფულადი სახსრები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, მომწოდებელზე გადახდილი ავანსები, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, გაცემული სესხები, საგადასახადო აქტივები და სხვა მიმდინარე აქტივები; ხოლო გრძელვადიანი აქტივებიდან ვხვდებით: საინვესტიციო ქონებას, ძირითად საშუალებებს, არამატერიალურ აქტივებს, და გადავადებულ საგადასახადო აქტივებს. როგორც პროდუქციის მწარმოებელი საწარმოსთვის, შპს იფქლისთვის მნიშვნელოვანია გააჩნდეს ნედლეულის საჭირო მარაგები, რათა ხელი არ შეეშალოს წარმოებას, შესაბამისად სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები როგორც 2018 წლის დასაწყისში - 468876 ლარი, ასევე წლის ბოლოს - 907168 ლარი, არ წარმოადგენს საგანგაშო მაჩვენებელს. ფულადი სახსრები, როგორც ყველაზე ლიკვიდური აქტივები, მნიშვნელოვანია ფირმისთვის, რათა დროულად შეძლოს დავალიანების დაფარვა. შპს იფქლს წლის დასაწყისში - 1290498 ლარის ფულადი საშუალებები ჰქონდა, რაც სრულად იძლეოდა მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობას, ხოლო წლის ბოლოს - 1369053 ლარის ფულადი სახსრებით ვეღარ ხერხდება მიმდინარე ვალდებულებების სრულად დაფარვა.

შპს იფქლის ვალდებულებები თავის მხრივ შეიცავს ისეთ მიმდინარე ვალდებულებებს, როგორცაა: სავაჭრო ვალდებულებები, მიღებული ავანსები, მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება დათანამშრომლების მიმართ არსებული ვალდებულება. თითოეული მათგანის წარმოქმნა ჩვეულებრივი მოვლენაა

ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
დასახელება	01.01.2018	31.12.2018	გადახრა
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	1290498	1369053	78555
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1099888	1494065	394177
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	1989808	254563	-1735245
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	468876	907168	438292
გაცემული სესხები	0	3700	3700
საგადასახადო აქტივი	42051	695025	652974
სხვა მიმდინარე აქტივი	212827	300867	88040
სულ მიმდინარე აქტივები	5103948	5024441	-79507
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	6363040	6293161	-69879
ძირითადი საშუალებები	7552009	11495572	3943563
არამატერიალური აქტივები	33639	33639	0
გადავადებული საგადასახადო აქტივი	339781	339781	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	14288469	18162153	3873684
სულ აქტივები	19392417	23186595	3794178
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	385445	1306821	921376
მიღებული ავანსები	300	800	500
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	44167	281056	236889
თანამშრომლების მიმართ არსებული ვალდებულება	57996	67484	9488
სულ მიმდინარე ვალდებულება	487908	1656161	1168253
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა ფინანსური ვალდებულებები	51000	85000	34000
სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2186436	2024978	-161458
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2237436	2109978	-127458
სულ ვალდებულებები	2725344	3766139	1040795
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	4153565	4153565	0
გაუნაწილებელი მოგება	12277705	15031088	2753383
სხვა რეზერვები	235803	235803	0
სულ კაპიტალი	16667073	19420456	2753383
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	19392417	23186595	3794178

ფუნქციონირებადი საწარმოსთვის, ამიტომ არ წარმოადგენენ განგაშის საფუძველს. გაზრდილი ფულადი სახსრებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესაბამისად, გაზრდილი მიმდინარე ვალდებულებებიც ნორმალური მოვლენაა.

ბუღალტრული ბალანსის უფრო სრული ანალიზისთვის გამოიყენება ორი სახის მიდგომა: ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი.

ვერტიკალური ანალიზისათვის პირელ რიგში უნდა მოხდეს აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის შემადგენელი მუხლების მიხედვით გადახრების გამოთვლა. ცხრილი №1 - ში ყველა ელემენტისათვის გამოთვლილია გადახრები ცალ-ცალკე.

გადახრების გამოთვლის შემდეგ თვალსაჩინო გახდა, რომ 2018 წლის ბოლოს დასაწყისთან შედარებით ფულადი სახსრები გაიზარდა 78555 ლარით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაიზარდა 394177 ლარით, სასაქონლო მატერიალური ფასეულობები გაიზარდა 438292 ლარით, გაცემული სესხები გაიზარდა 3700 ლარით, საგადასახადო აქტივის ზრდამ შეადგინა 652974 ლარი, ხოლო სხვა მიმდინარე აქტივი გაიზარდა 88040 ლარით. თითოეულის ზრდა დადებითად აისახება საწარმოს მდგომარეობაზე, ვინაიდან აქტივი საწარმოს რესურსია და მის ფუნქციონირებას უწყობს ხელს. თუმცა საგრძნობლადაა შემცირებული მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები - 1735245 ლარით, რაც საბოლოოდ მიმდინარე აქტივების შემცირებას იწვევს.

მიმდინარე აქტივებისგან განსხვავებით ზრდა ფიქსირდება გრძელვადიან აქტივებში 3873684 ლარით, ვინაიდან ძირითადი საშუალებების ზრდა - 3943563 ლარითაღემატებასაინვესტიციო ქონების შემცირებას - 69879 ლარით.

მთლიანობაში აქტივების სიდიდე გაზრდილია 3794178 ლარით, ვინაიდან გრძელვადიანი აქტივების ზრდამ გადააჭარბა მიმდინარე აქტივების კლებას.

მოკლევადიანი ვალდებულებები გაზრდილია 1168253 ლარით, რაც მისი თითოეული კომპონენტის ზრდამ გამოიწვია, ხოლო შემცირებულია გრძელვადიანი ვალდებულებები - 127458 ლარით. მთლიანობაში ვალდებულებების ოდენობა გაზრდილია, მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდის ხარჯზე. ასევე გაზრდილია საკუთარი კაპიტალის სიდიდე, რაც გაუნაწილებელი მოგების ზრდის შედეგია.



იმისათვის, რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს თითოეულ კომპონენტს ბალანსის ელემენტების რა წილი უჭირავთ, შეგვიძლია დავადგინოთ ხვედრითი წილი თითოეულისთვის და შემდეგ მათი გადახრებიც დავითვალოთ.

ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
დასახელება	01.01.2018	ხვედრიითი წილი %	31.12.2018	ხვედრიითი წილი %	გადახრა
აქტივები					
მიმდინარე აქტივები					
ფულადი სახსრები	1290498	25.28	1369053	27.25	1.96
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1099888	21.55	1494065	29.74	8.19
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	1989808	38.99	254563	5.07	-33.92
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	468876	9.19	907168	18.06	8.87
გაყვანილი სესხები	0	0.00	3700	0.07	0.07
საგადასახადო აქტივი	42051	0.82	695025	13.83	13.01
სხვა მიმდინარე აქტივი	212827	4.17	300867	5.99	1.82
სულ მიმდინარე აქტივები	5103948	100.00	5024441	100.00	
გრძელვადიანი აქტივები					
საინვესტიციო ქონება	6363040	44.53	6293161	34.65	-9.88
ძირითადი საშუალებები	7552009	52.85	11495572	63.29	10.44
არამატერიალური აქტივები	33639	0.24	33639	0.19	-0.05
გადავადებული საგადასახადო აქტივი	339781	2.38	339781	1.87	-0.51
სულ გრძელვადიანი აქტივები	14288469	100.00	18162153	100.00	
სულ აქტივები	19392417		23186595		
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი					
მოკლევადიანი ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	385445	79.00	1306821	78.91	-0.09
მიღებული ავანსები	300	0.06	800	0.05	-0.01
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	44167	9.05	281056	16.97	7.92
თანამშრომლების მიმართ არსებული ვალდებულება	57996	11.89	67484	4.07	-7.81
სულ მიმდინარე ვალდებულება	487908	100.00	1656161	100.00	
გრძელვადიანი ვალდებულებები					
სხვა ფინანსური ვალდებულებები	51000	2.28	85000	4.03	1.75
სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2186436	97.72	2024978	95.97	-1.75
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2237436	100.00	2109978	100.00	
სულ ვალდებულებები	2725344		3766139		
საკუთარი კაპიტალი					
სააქციო კაპიტალი	4153565	24.92	4153565	21.39	-3.53
გაუნაწილებელი მოგება	12277705	73.66	15031088	77.40	3.73
სხვა რეზერვები	235803	1.41	235803	1.21	-0.20
სულ კაპიტალი	16667073	100.00	19420456	100.00	
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	19392417		23186595		

ცხრილი №2-დან ჩანს, რომ მიმდინარე აქტივებში ყველაზე მაღალი ხვედრიითი წილი წლის დასაწყისში მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს უჭირავთ - 38.99%, ხოლო წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი 5.07%-ზეა ჩამოსული, ფულადი სახსრების ხვედრიითი წილი წლის დასაწყისში 25.28%-ია, წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი 27.25%-მდეა გაზრდილი და მიმდინარე აქტივებში ყველაზე ლიკვიდური აქტივის


ზრდაზე მიანიშნებს; სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ხვედრითი წილი 21.55%-დან 29.74%-მდეა გაზრდილი, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს მათ, რათა უიმედო ვალად არ გადაიქცნენ და დროულად დაუბრუნდეს საწარმოს თანხა, რათა შემდეგ თავადაც შეძლოს ვალდებულებების გასტუმრება. მიმდინარე აქტივებში თითოეული მისი ელემენტის ხვედრითი წილის უკეთ აღსაქმელად აგებულია გრაფიკი №1, სადაც ვხედავთ პოცენტუალად გამოსახულ წილებს როგორც 2018 წლის დასაწყისში, ასევე მის ბოლოს.

გრაფიკი №1 მიმდინარე აქტივების სტრუქტურა




გრძელვადიან აქტივებში ძირითად საშუალებებს უჭირავთ ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი როგორც წლის დასაწყისში - 52.85%, ასევე წლის ბოლოსაც - 63.29%, მეტიც წლის ბოლოს მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზრდილია, რამაც გამოიწვია გრძელვადიანი აქტივების დადებითი გადახრა. მეორე ადგილზეა საინვესტიციო ქონება, რომლის ხვედრითი წილი წლის დასაწყისში 44.53%-ია, ხოლო წლის ბოლოს 34.65%. გრაფიკულად გრძელვადიანი აქტივების თითოეული ელემენტის ხვედრითი წილი გრაფიკი №2 -ზეა ასახული.

გრაფიკი №2 გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურა




მოკლევადიან ვალდებულებებში [გრაფიკი №3] - სავაჭრო ვალდებულებები წლის დასაწყისში შეადგენს 79.00%-ს, ხოლო წლის ბოლოს 78.91%-ს, შესაბამისად ორივე პერიოდში მოკლევადიანი ვალდებულების ძირითადი წარმომქმნელი სწორედ სავაჭრო ვალდებულებებია. მიღებული ავანსების სიდიდე უმნიშვნელოა მიმდინარე ვალდებულებებში და მის მხოლოდ 0,06% -ს შეადგენს წლის დასაწყისში და 0,05% -ს წლის ბოლოს, რაც არაა გასაკვირი შპს იფქლის საქმიანობიდან გამომდინარე. რაც შეეხება მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებისა და თანამშრომლების მიმართ არსებული ვალდებულების წილს მიმდინარე ვალდებულებებში, წლის დასაწყისში შესაბამისად 9.05% და 11.89% -ია, ხოლო წლის ბოლოს 16.97% და 4.07%.

გრაფიკი №3 მოკლევადიანი ვალდებულებების სტრუქტურა




გრძელვადიან ვალდებულებებში [გრაფიკი №4] -სხვა გრძელვადიან სასესხო ვალდებულებებს, ხოლო საკუთარ კაპიტალში [გრაფიკი №5] - გაუნაწილებელ მოგებას უჭირავთ ლიდერი პოზიციები როგორც წლის დასაწყისში, ასევე მის ბოლოსაც.

გრაფიკი №4 გრძელვადიანი ვალდებულებების სტრუქტურა



გრაფიკი №5 საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა



როგორც ვხედავთ მაჩვენებლები რომლებიც ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდებიან, ყველაზე დიდ ზეგავლენასაც ახდენენ ბალანსის ელემენტებზე.

აბსოლუტურ სიდიდებთან შედარების შეფარდებითი სიდიდეები უკეთ ასახავენ რეალობას, ამიტომ ვერტიკალური ანალიზისას მნიშვნელოვანია მათი გამოთვლა.

$$\text{საკ. კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი}_{[01.01.2018]} = \text{საკ. კაპიტალი} / \text{აქტივებთან} \\ = 16667073/19392417 = 0.86$$

$$\text{მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი}_{[01.01.2018]} = \text{ვალდებულებები} / \text{აქტივები} = 2725344/19392417 = 0.14$$

$$0,86 + 0,14 = 1$$


$$\text{საკ. კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი}_{[31.12.2018]} = \text{საკ. კაპიტალი} / \text{აქტივებთან} \\ = 19420456/23186595 = 0,84$$


$$\text{მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი}_{[31.12.2018]} = \text{ვალდებულებები} / \text{აქტივები} = 3766139/23186595 = 0,16$$

$$0,84+0,16 = 1$$

ეს ორი მაჩვენებელი ასახავს კომპანიის განკარგულებაში არსებული რესურსების რა ნაწილია საკუთარი და რა მოზიდული სახსრებით შექმნილი [გრაფიკი №6].

გრაფიკი №6 აქტივებში საკუთარი და მოზიდული კაპიტალის წილი





როგორც ვხედავთ საწარმოს წლის დასაწყისში აქტივების 86% საკუთარი კაპიტალით და მხოლოდ 14% ვალდებულებების გამოყენებით აქვს შეძენილი, რაც კომპანიას ნაკლებად დამოკიდებულს ხდის სხვებზე. ასევე პერიოდის ბოლოსაც აქტივების დიდი წილი კვლავ საკუთარი კაპიტალითაა შეძენილი - 84%, ხოლო ვალდებულებებით - 16%. საკუთარი კაპიტალის წილის პროცენტული ცვლილება იქნება $(84-86)/86*100\% = -2,33\%$, ხოლო ვალდებულებების $(16-14)/14*100\% = 14,29\%$,

კაპიტალის ძირითადი სტრუქტურის კოეფიციენტი = ვალდებულებები / საკუთარი კაპიტალი

$$2725344/16667073 = 0,16$$

$$3766139/19420456 = 0,19$$

$$\text{კოეფიციენტის პროცენტული ცვლილება} = (0,19-0,16)/0,16*100\% = 18,75\%$$

აღნიშნული მაჩვენებელი მიგვანიშნებს, რომ შპს იფქლის საკუთარი კაპიტალის ყოველი ერთილარი 2018 წლის დასაწყისში 0,16 ლარი ვალდებულებით იყო დატვირთული, ხოლო წლის ბოლოს 0,19 ლარს მიაღწია.

შპს იფქლის ქონების ანალიზისთვის შეგვიძლია გამოვთვალოთ ისეთი სიდიდეები, როგორიცაა:

მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში [გრაფიკი №7]

$$5103948/19392417*100\% = 26,32\% - \text{წლის დასაწყისში}$$

$$5024441/23186595*100\% = 21,67\% - \text{წლის ბოლოს}$$

$$\text{პროცენტული ცვლილება} = (21,67-26,32)/26,32*100\% = -17,67\%$$


გრძელვადიანი აქტივების ხვედრითი წილი

$14288469/19392417*100\% = 73,68\%$ - წლის დასაწყისში

$18162153/23186595*100\% = 78,33\%$ - წლის ბოლოს

პროცენტული ცვლილება = $(78.33-73.68)/73.68*100\% = 6,31\%$

გრაფიკი №7 შპს იფქლის აქტივების სტრუქტურა



ეს მაჩვენებლები ასახავენ მთლიან აქტივებში მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების წილს წლის დასაწყისსა და ბოლოს, როგორც ვხედავთ აქტივებში უფრო დიდი წილი გრძელვადიან აქტივებს უჭირავთ ორივე პერიოდში, ვიდრე მიმდინარეს. უფრო მეტიც, წლის ბოლოს კიდევ უფრო 6,31%-ით გაზრდილია გრძელვადიანი აქტივების წილი მთლიან აქტივებში.

მიმდინარე ვალდებულებების ხვედრითი წილი [გრაფიკი №8]

$487908/2725344*100\% = 17,9\%$ - წლის დასაწყისში

$1656161/3766139*100\% = 43,98\%$ - წლის ბოლოს

პროცენტული ცვლილება = $(43.98-17.9)/17.9*100\% = 145,7\%$


გრძელვადიანი ვალდებულებების ხვედრითი წილი

$2237436/2725344*100\% = 82,1\%$ - წლის დასაწყისში

$2109978/3766139*100\% = 56,02\%$ - წლის ბოლოს

პროცენტული ცვლილება = $(56.02-82.1)/82.1*100\% = -31,77\%$

გრაფიკი №8 შპს იფქლის ვალდებულებების სტრუქტურა



ხოლო ეს სიდიდეები ვალდებულებებში მიმდინარე და გრძელვადიანი ვალდებულებების წილს ახასიათებენ 2018 წლის დასაწყისსა და ბოლოს. როგორც ვხედავთ გრძელვადიანი ვალდებულებები ორივე პერიოდში აჭარბებს მიმდინარე ვალდებულებებს, თუმცა წლის ბოლოს განსხვავება მნიშვნელოვნად შემცირებულია. წლის ბოლოს გრძელვადიანი ვალდებულებების ხვედრითმა წილმა 31,77%-ით დაიკლო, ხოლო მიმდინარე ვალდებულებების წილი 145,7%-ით გაიზარდა.

ვერტიკალური ანალიზისაგან განსხვავებით, ჰორიზონტალური ანალიზი ასახავს დინამიკას და გვიჩვენებს პროცენტულ ცვლილებას პერიოდებს შორის.

ცხრილი №3 -ში ასახულია ბალანსის თითოეული ელემენტისთვის დათვლილი ზრდის ტემპები წლის დასაწყისსა და ბოლოს შორის. როდესაც მნიშვნელობა 100-ზე ნაკლებია, ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული მუხლი შემცირდა წლის ბოლოს დასაწყისთან შედარებით, ხოლო როდესაც აჭარბებს 100-სს, მიანიშნებს მის ზრდაზე. შესაბამისად ცხრილის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ შპს იფქლის მიმდინარე აქტივები - შემცირდა 1,56%-ით, გრძელვადიანი აქტივები - გაიზარდა 27.11%-ით, მთლიანობაში აქტივები - გაიზარდა 19.57%-ით, მიმდინარე ვალდებულებები - გაიზარდა 239.44%-ით, გრძელვადიანი ვალდებულებები - შემცირდა 5.70%-ით, ერთიანობაში ვალდებულებები - გაიზარდა 38,19%-ით. ასევე ზრდის ტემპით ხასიათდება საკუთარი კაპიტალის სიდიდეც, რომელიც 16,52%-ით გაიზარდა. ვინაიდან მიმდინარე აქტივები შემცირდა, გამოდის რომ გაზრდილი ვალდებულებებითა და კაპიტალით გრძელვადიანი

ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
დასახელება	01.01.2018	31.12.2018	ზრდის ტემპი %
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	1290498	1369053	106.09
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1099888	1494065	135.84
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	1989808	254563	12.79
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	468876	907168	193.48
გაცემული სესხები	0	3700	
საგადასახადო აქტივი	42051	695025	1652.81
სხვა მიმდინარე აქტივი	212827	300867	141.37
სულ მიმდინარე აქტივები	5103948	5024441	98.44
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	6363040	6293161	98.90
ძირითადი საშუალებები	7552009	11495572	152.22
არამატერიალური აქტივები	33639	33639	100.00
გადავადებული საგადასახადო აქტივი	339781	339781	100.00
სულ გრძელვადიანი აქტივები	14288469	18162153	127.11
სულ აქტივები	19392417	23186595	119.57
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	385445	1306821	339.04
მიღებული ავანსები	300	800	266.67
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	44167	281056	636.35
თანამშრომლების მიმართ არსებული ვალდებულება	57996	67484	116.36
სულ მიმდინარე ვალდებულება	487908	1656161	339.44
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა ფინანსური ვალდებულებები	51000	85000	166.67
სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2186436	2024978	92.62
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2237436	2109978	94.30
სულ ვალდებულებები	2725344	3766139	138.19
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	4153565	4153565	100.00
გაუნაწილებელი მოგება	12277705	15031088	122.43
სხვა რეზერვები	235803	235803	100.00
სულ კაპიტალი	16667073	19420456	116.52
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	19392417	23186595	119.57

საშუალებები შეისყიდეს შპს იფქლში, მეტად კი ძირითადი საშუალებები, რადგან მათი სიდიდე 52,22%-ით გაიზარდა წლის დასაწყისთან შედარებით.

ბალანსისაგან განსხვავებით, მოგება-ზარალის ანგარიშგება [დანართი №2] ასახავს ყველა ხარჯს და მიღებულ შემოსავალს. რაც შესაძლებელს ხდის გაანალიზდეს დანახარჯების სტრუქტურა, მოგების მაჩვენებლების შედარებითი დახასიათება, დანახარჯებისა და შემოსავლების მომგებიანობის სხვადასხვა მაჩვენებლები.

შპს იფქლის მოგება/ზარალის ანგარიშზე დაკვირვებით შეგვიძლია განვსაზღვროთ შემოსავლების, ხარჯების და გაუნაწილებელი მოგების ცვლილებები. როგორც ვხედავთ ამონაგები და არასაოპერაციო შემოსავალი გაზრდილია 2018 წლის ბოლოს 2017 წლის მონაცემებთან შედარებით, მთლიანობაში შემოსავლის ზრდამ 20% შეადგინა. შემოსავლების ზრდა დადებითი მოვლენაა კომპანიებისთვის, რადგან ეს უმეტესად მოგების ზრდასაც უზრუნველყოფს. თუმცა შემოსავლების ზრდასთან ერთად როგორც ვხედავთ გაზრდილია ხარჯების სიდიდეც. განსაკუთრებულად გაზრდილია რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები 201%-ით, მიწოდების ხარჯები - 75%-ით, ფინანსური დანახარჯები 96%-ით. გაზრდილია ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი 48%-ით, რაც გრძელვადიანი აქტივების ზრდის შედეგია. ხარჯების ზრდა იმდენად დიდია, რომ აჭარბებს ამონაგების ზრდის ტემპს და საბოლოოდ მიმდინარე პერიოდის მოგების 30%-ით შენეირებამდე მივდივართ. შესაბამისად საწარმოს მფლობელები გამუდმებით უნდა დააკვირდნენ შემოსავლების და ხარჯების სტრუქტურას, რათა მიიღონ მოგების სასურველი მაჩვენებელი.

ასევე მნიშვნელოვანია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე დაკვირვებაც, სადაც სრულადაა გადმოცემული ინფორმაცია კომპანიაში ფულის შესვლაზე თუ გასვლაზე. ეს საშუალებას იძლევა განისაზღვროს როდის რა ოდენობის თანხაა საწარმოში, რაში იხარჯება ყველაზე ლიკვიდური აქტივი ყველაზე მეტად და რამდენადაა შესაძლებელი მიმდინარე დავალიანებების დაფარვა.

შპს იფქლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, რომელიც მოცემულია დანართი №3 -ში, გვიჩვენებს, რომ როგორც 2017 წელს (-17 690 064 ლარი), ასევე 2018 წელს (-26 111 730 ლარი) ყველაზე დიდი თანხები მომწოდებლებისთვის დავალიანების დასაფარად გავიდა.

დანართი №3-ის თანახმად შპს იფქლს 2018 წელს 2017 წელთან შედარებით საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები 20%-ით გაეზარდა (6 313 620 ლარით). ეს ზრდა გამოიწვია საქონლის და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის 18%-ით (5 644 681 ლარით), მიღებული ავანსების 36%-ით (1 578 ლარით) და იჯარიდან მიღებული ფულადი სახსრების 135%-ით (668 531 ლარით) ზრდამ. თუმცა პარალელურად გაზრდილია საწარმოდან ფულის გასვლის მაჩვენებლებიც,

მომწოდებლებზე გადახდილი თანხები გაზრდილია 48%-ით, გადასახადების დასაფარად გადახდილია 36%-ით მეტი ფულადი სახსრები, 80%-ით გაზრდილია შეცდომით გადახდილი თანხები და საგრძნობლად, 341%-ით მომატებულია ანგარიშვალდებულ პირზე ფულის გაცემები. შედეგად ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან შემცირებულია 43%-ით (2 675 740 ლარით).

შემცირებულია საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები 65%-ით, რაც 188 972 ლარს შეადგენს, ასევე შემცირებულია ფულადი სახსრების გასვლა საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებისთვის 65%-ით და შედეგად შემცირებულია საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრების უარყოფითი სალდო 2018 წელს 2017 წელთან შედარებით.

საგრძნობლად შემცირებულია საფინანსო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები, მისმა კლებამ 76%-ს მიაღწია, რაც 4 399 926 ლარია. ეს ძირითადად სესხებიდან ფულადი სახსრების შემოსვლის 78%-ით შემცირების შედეგია, მხოლოდ 1%-ით არის მომატებული დივიდენდებზე გასული ფულადი სახსრები, შემცირებულია როგორც სესხის ძირის და პროცენტის გადახდა 55%-ით, ასევე საბანკო ხარჯები/საკომისიოები 43%-ით. შედეგად მნიშვნელოვნადაა შემცირებული ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან (2 466 452 ლარით).

საბოლოოდ ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში შემცირებულია 90%-ით, ხოლო ფულადი სახსრები წლის ბოლოს გაზრდილია მხოლოდ 6%-ით.

2.2 შპს იფქლის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი კოეფიციენტების საფუძველზე

ბალანსის, მოგება/ზარალისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების საფუძველზე საწარმოს ფინანსური ანალიზისათვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლების განსაზღვრა შეგვიძლია.

პირველ რიგში ბალანსისა და მოგება/ზარალის ანგარიშგების საფუძველზე განვსაზღვროთ შპს იფქლის აქტივების მომგებიანობა.

ცხრილი №4

მაჩვენებლები	01.01.2018	31.12.2018	გადახრა
მოგება/აქტივებზე	0.2766	0.1610	-0.1156
მოგება/შემოსავალი	0.1915	0.1112	-0.0803
შემოსავალი/საკ.კაპ	1.6806	1.7295	0.0489
საკ.კაპ/აქტივები	0.8595	0.8376	-0.0219

როგორც ცხრილი №7 -დან ჩანს აქტივების მომგებიანობა 2018 წლის ბოლოს შემცირებულია 0.1156 პუნქტით წლის დასაწყისთან შედარებით. მისი სიდიდე წლის დასაწყისისთვის 0.2766 ერთეულს შეადგენს, ხოლო წლის ბოლოსათვის 0.1610 ერთეულს.

აბსოლუტური სხაობის ხერხის გამოყენებით განვსაზღვროთ ამ შემცირებაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა.

1. მოგების ნორმის ცვლილების გავლენა = $(-0.0803) * 1.6806 * 0.8595 = -0.1160$
2. საკუთარი კაპიტალის ბრუნვის ცვლილების გავლენა = $0.0489 * 0.1112 * 0.8595 = 0.0047$
3. ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის ცვლილების გავლენა = $(-0.0219) * 0.1112 * 1.7295 = -0.0042$

ჯამი -0.1156

	<i>01.01.2018</i>	<i>31.12.2018</i>	<i>ცვლილება</i>
<i>ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი</i>	<i>1.16</i>	<i>1.19</i>	<i>2.59</i>

შპს იფქლის აქტივები წლის დასაწყისში 1,16-ჯერ, ხოლო წლის ბოლოს 1,19-ჯერ აღემატება მისსავე კაპიტალს. ის ფაქტი რომ აქტივი საკუთარ კაპიტალს აჭარბებს, იმაზე მეტყველებს, რომ აქტივების დასაფინანსებლად ასევე საჭიროა ნასესხები კაპიტალიც. როგორც ვხედავთ წლის ბოლოს გაზრდილია მოზიდული კაპიტალის სიდიდე, თუმცა ამ ეტაპზე ეს არ არის საგანგაშო მაჩვენებელი, რადგან 1,19 ახლოსაა ერთთან. მნიშვნელოვანია დროდადრო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ გაიზარდოს, რადგან რაც უფრო იზრდება ნასესხები კაპიტალის წილი აქტივების დაფინანსებაში, მით მეტად რისკის ქვეშ აღმოჩნდება საწარმო.

	<i>01.01.2018</i>	<i>31.12.2018</i>	<i>ცვლილება</i>
<i>საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების კოეფიციენტი</i>	<i>0.28</i>	<i>0.41</i>	<i>46.43</i>

კოეფიციენტის პროცენტული ცვლილება $= (0,41 - 0,28) / 0,28 * 100 = 46,43\%$

როგორც ვხედავთ საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების კოეფიციენტი გაზრდილია წლის დასაწყისთან შედარებით. იქედან გამომდინარე, რომ ეს კოეფიციენტი საკუთარი საბრუნავი საშუალების იმ ნაწილს ასახავს, რომელიც სრულად ლიკვიდურია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი ზრდა დადებითი მოვლენაა საწარმოსთვის, რადგან აუცილებლობის შემთხვევაში მეტი სახსრების გამოყენება იქნება შესაძლებელი დროულად.

	<i>01.01.2018</i>	<i>31.12.2018</i>	<i>ცვლილება</i>
<i>მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი</i>	<i>10.46</i>	<i>3.03</i>	<i>-71.03</i>

კოეფიციენტის პროცენტული ცვლილება $= (3,03 - 10,46) / 10,46 * 100 = -71.03$

მიმდინარე აქტივები წლის დასაწყისში 10,46-ჯერ აღემატებოდა მიმდინარე ვალდებულებებს. ის ფაქტი რომ არსებული და მისაღები აქტივებით მარტივადაა შესაძლებელი ვალდებულებების დაფარა, კარგია საწარმოსთვის, თუმცა მიმდინარე აქტივების ამ ოდენობით გადაჭარბება მიმდინარე ვალდებულებებზე, რეალურად საერთოდ არაა ხელსაყრელი, ვინაიდან წარმოებისა და რეალიზაციის პროცესს ამცირებს. უკვე წლის ბოლოს, 71,03%-ით შემცირებული მაჩვენებლის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქტივების 3,03-ჯერ გადაჭარბებით მიმდინარე ვალდებულებებზე მაჩვენებელი თავის იდეალურ სიდიდეს საგრძნობლად დაუახლოვდა. საუკეთესო შემთხვევაში ეს კოეფიციენტი 2-დან 3-მდე შუალედში უნდა მოთავსდეს.

	<i>01.01.2018</i>	<i>31.12.2018</i>	<i>ცვლილება</i>
<i>სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი</i>	<i>4.9</i>	<i>1.73</i>	<i>-64.69</i>

რაც ნიშნავს, რომ ფულადი საშუალებების და დებიტორული დავალიანებების ჯამი წლის დასაწყისში მეტად აღემატებოდა მიმდინარე ვალდებულებებს, ვიდრე წლის ბოლოს. პროცენტულმა ცვლილებამ შეადგინა $- (1.73 - 4.9) / 4.9 * 100\% = -64.69\%$. ის ფაქტი, რომ ფულადი საშუალებების და დებიტორული დავალიანებების ჯამი მეტია ვალდებულებაზე, გვამღევეს იმის თქმის უფლებას, რომ საწარმოს შესწევს უნარი დროულად დაფაროს მომწოდებლებთან არსებული დავალიანებები.

	<i>01.01.2018</i>	<i>31.12.2018</i>	<i>ცვლილება</i>
<i>აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი</i>	<i>2.64</i>	<i>0.83</i>	<i>-68.56</i>

ასახავს ვალდებულებების იმ წილს რისი დაუყოვნებლივ დაფარვაც შესაძლებელია. წლის დასაწყისში, როდესაც მიმდინარე ვალდებულებები შედარებით მცირე იყო, ფულად საშუალებებს სრულად შეეძლოთ მათი დაფარვა, თუმცა წლის ბოლოსთვის ვალდებულებების სიდიდე საგრძნობლად გაიზარდა, ხოლო ფულადი სახსრები - ნაკლებად, შესაბამისად წლის ბოლოსათვის საწარმოს ლიკვიდური აქტივით აღარ შესწევს უნარი სრულად დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. მხოლოდ 0,83 ნაწილი ვალდებულებებისა, შესაძლებელია დაიფაროს ყველაზე ლიკვიდური აქტივით 2018 წლის ბოლოსათვის.

საკუთარი საბრუნავი სახსრების ხვედრითი წილი მარაგების დაფარვაში

<i>01.01.2018</i>	<i>31.12.2018</i>	<i>ცვლილება</i>
<i>9.84</i>	<i>3.71</i>	<i>-62.30</i>

პროცენტული ცვლილება იქნება $(3.71-9.84)/9.84*100\% = -62,3\%$, რაც ნიშნავს, რომ წლის დასაწყისში საკუთარ საბრუნავ საშუალებებს მარაგების 62.3% -ით მეტი წილის დაფარვა შეეძლოთ, ვიდრე წლის ბოლოს.

მარაგების დაფარვის კოეფიციენტი

<i>01.01.2018</i>	<i>31.12.2018</i>	<i>ცვლილება</i>
<i>10.67</i>	<i>5.15</i>	<i>-51.69</i>

მარაგების დაფარვის კოეფიციენტი შემცირებული წლის ბოლოს დასაწყისთან შედარებით, თუმცა მისი სიდიდე ორივე შემთხვევაში აღემატება 1-ს, შესაბამისად არ გვაქვს საბაზი ვიფიქროთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის არამდგრადობაზე.

საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი

<i>01.01.2018</i>	<i>31.12.2018</i>	<i>ცვლილება</i>
<i>6.12</i>	<i>5.16</i>	<i>-15.68</i>

აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს, რომ შპს იფქლის საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში 6.12-ჯერ, ხოლო წლის ბოლოს 5.16-ჯერ აღემატება მოზიდულ კაპიტალს. საწარმომ უნდა მოახერხოს და ესმაჩენებელი 1-ზე ზევით შეინარჩუნოს, რათა სრულად სხვა კომპანიებზე დამოკიდებული არ გახდეს.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი

<i>01.01.2018</i>	<i>31.12.2018</i>	<i>ცვლილება</i>
<i>0.86</i>	<i>0.84</i>	<i>-2.55</i>

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს, რომ შპს იფქლის აქტივების 0.86 ნაწილი საკუთარი კაპიტალით იფარებოდა წლის დასაწყისში, ხოლო წლის ბოლოს 0.84-მდე შემცირდა.

საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფა

<i>01.01.2018</i>	<i>31.12.2018</i>	<i>ცვლილება</i>
<i>0.90</i>	<i>0.67</i>	<i>-25.88</i>

ამ კოეფიციენტით შეგვიძლია განვსაზღვროთ შპს იფქლის მიმდინარე აქტივების რა წილი უჭირავს საკუთარ საბრუნავ სახსრებს. როგორც ვხედავთ წლის ბოლოს მისი

სიდიდე შემცირებულია 25.88% -ით წლის დასაწყისთან შედარებით, თუმცა ორივე პერიოდში მიმდინარე აქტივების მნიშვნელოვან წილს იკავებს.

გრძელვადიანი დაბანდების სტრუქტურის კოეფიციენტი

<i>01.01.2018</i>	<i>31.12.2018</i>	<i>ცვლილება</i>
<i>0.16</i>	<i>0.12</i>	<i>-25.00</i>

გრძელვადიან აქტივებში გრძელვადიანი ვალდებულებების წილი 0,16-დან 0,12-მდე ჩამოვიდა.

გრძელვადიანი ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი

<i>01.01.2018</i>	<i>31.12.2018</i>	<i>ცვლილება</i>
<i>0.12</i>	<i>0.1</i>	<i>-16.67</i>

რაც იმას გულისხმობს, რომ გრძელვადიანი ვალდებულებები საკუთარი კაპიტალისა და გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამის 0.12 იყო წლის დასაწყისში და წლის ბოლოსათვის 0,10 გახდა.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვაობის ხარისხი ბრუნვაობის სამი ტიპის მაჩვენებლით შეისწავლება.

ცხრილი №5

	<i>01.01.2018</i>	<i>31.12.2018</i>	<i>ცვლილება</i>
<i>ბრუნვის რიცხვი</i>	<i>5</i>	<i>6</i>	<i>20.00</i>
<i>ბრუნვის პერიოდი დღეებში</i>	<i>67</i>	<i>55</i>	<i>-17.90</i>

<i>დაყოვნების კოეფიციენტი</i>	<i>0.18</i>	<i>0.15</i>	<i>-16.67</i>
-----------------------------------	-------------	-------------	---------------

1. ბრუნვის რიცხვი - ასახავს რამდენჯერ შემობრუნდება ავანსირებული ღირებულება წლის განმავლობაში.

როგორც გამოთვლებმა აჩვენა აქტივებში ავანსირებული ღირებულება 2018 წლამდე წელიწადში დაახლოებით 5-ჯერ ბრუნდებოდა საწარმოში, ხოლო 2018 წელს ამ რიცხვმა 6-მდე აიწია. ზოგადად რაც უფრო სწრაფად და შესაბამისად მეტჯერ შეძლებს ავანსირებული ღირებულება საწარმოში დაბრუნებს, მით უკეთ შეძლებს ეს საწარმო ფუნქციონირებას.

2. ბრუნვის პერიოდი დღეებში - ასახავს იმ დღეების რაოდენობას, რომელიც ავანსირებულ ღირებულებას სჭირდება ერთი შემობრუნებისთვის.

როგორც გამოთვლებმა აჩვენა 2018 წლამდე ავანსირებულ ღირებულებას ერთი მობრუნებისთვის დაახლოებით 67 დღე სჭირდებოდა, ხოლო 2018 წელში ეს მაჩვენებელი 55 დღემდე ჩამოვიდა. რა თქმა უნდა რაც უფრო ცოტა დროს მოანდომებს ავანსირებული ღირებულება ერთ ბრუნს, მით მეტჯერ შეძლებს ის წლის განმავლობაში მობრუნდეს საწარმოში. შესაბამისად ერთი ბრუნვისთვის განკუთვნილი დროის შემცირებამ, გამოიწვია ბრუნვის რიცხვის გაზრდაც.

3. დაყოვნების კოეფიციენტი - ასახავს ერთი ლარი შემოსავლის მისაღებად ავანსირებული ღირებულების რა ნაწილი უნდა იყოს მუდმივად დაბანდებული.

გამოთვლების შედეგად მივიღეთ, რომ 2018 წლამდე ავანსირებული ღირებულის 18% მუდმივად დაბანდებული უნდა ყოფილიყო ერთი ლარი შემოსავლის მისაღებად, ხოლო 2018 წელს ეს მაჩვენებელი 15% -მდე ჩამოვიდა.

ამ სამი მაჩვენებლის განხილვის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2018 წელს შპს იფქლში გაუმჯობესდა მდგომარეობა ავანსირებული ღირებულების საწარმოში მობრუნების კუთხით. თუ ცვლილებებს პროცენტულად გამოვსახავთ მივიღეთ, რომ 2018 წელს 2017 წელთან შედარებით ბრუნვის რიცხვა 20% -ით მოიმატა $[(6-5)/5*100\% =$

20 %]. ბრუნვის პერიოდი დღეებში 17.9% -ით შემცირდა $[(55-67)/67*100 \% = - 17,9\%]$, ხოლო დაყოვნების კოეფიციენტი 16,67%-ით მოიკლო $[(0,15-0,18)/0,18*100\% = -16,67\%]$.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის დასახასიათებლად გამოვიყენოთ ზემოთ უკვე აღნიშნული ფინანსური სტაბილურობის ოთხი ტიპი:

1. აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობა.

მატერიალური მარაგები < საკუთარი საბრუნავი სახსრები

2. ნორმალური ფინანსური სტაბილურობა.

საკ. საბრ. სახსრები < მატერ. მარაგები < მარაგების დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები

3. არამყარი ფინანსური მდგომარეობა მეშვეობით.

მატერიალური მარაგები > მარაგების დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები

4. კრიტიკული ფინანსური მდგომარეობა - საწარმო იმყოფება გაკოტრების პირას, რადგანაც ფულადი სახსრები, მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება ვერ ფარავს კომპანიის კრედიტორულ დავალიანებასაც კი.

ფინანსური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე უნდა განვსაზღვროთ ამ ოთხი ტიპიდან რომელს მიეკუთვნება შპს იფქლის ფინანსური მდგომარეობა.

პირველ რიგში დავთვალოთ საკუთარი საბრუნავი სახსრების სიდიდე, რომელიც მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების სხვაობის ტოლია.

ცხრილი №6

დასახელება	01.01.2018	31.12.2018
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	468876	907168
სულ მიმდინარე აქტივები	5103948	5024441
სულ მიმდინარე ვალდებულება	487908	1656161
საკუთარი საბრუნავი სახსრები	4616040	3368280
სავაჭრო ვალდებულებები	385445	1306821
მიღებული ავანსები	300	800
დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები	5001785	4675901

წლის დასაწყისში

მატერიალური მარაგები < საკუთარი საბრუნავი სახსრები


468876<4616040

წლის ბოლოს

მატერიალური მარაგები < საკუთარი საბრუნავი სახსრები

907168<3368280

გრაფიკი №9 შპს იფქლის ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლები



თვალსაჩინოებისთვის შპს იფქლის ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლები წარმოვადგინოთ დიაგრამის სახით, გრაფიკი №9 -ზე ასახულია სასაქონლო მატერიალური ფასეულობები, საკუთარი საბრუნავი სახსრები და დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები წლის დასაწყისსა და ბოლოს. ორივე პერიოდში სასაქონლო მატერიალური ფასეულობები გაცილებით ნაკლებია როგორც დაფინანსების „ნორმალური“ წყაროებზე, ასევე საკუთარი საბრუნავი სახსრებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ როგორც წლის დასაწყისში, ასევე მის ბოლოს შპს იფქლის საკუთარი საბრუნავი სახსრები ჭარბობს მატერიალურ მარაგებს. შესაბამისად საწარმო მიეკუთვნება ფინანსური სტაბილურობის პირველ ტიპს და აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობით ხასიათდება.

დასკვნა

ამრიგად, შპს „იფელი“ -ის მაგალითზე ჩატარებული ფინანსური მდგომარეობის ანალიზით გამოვლინდა, რომ 2018 წლის ბოლოს დასაწყისთან შედარებით ფულადი სახსრები გაიზარდა 6.09%-ით [78555 ლარით], სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაიზარდა 35.84%-ით [394177 ლარით], სასაქონლო მატერიალური ფასეულობები გაიზარდა 93.48%-ით [438292 ლარით], გაცემული სესხები გაიზარდა 3700 ლარით, საგადასახადო აქტივის ზრდამ შეადგინა 652974 ლარი, სხვა მიმდინარე აქტივი გაიზარდა 88040 ლარით, ხოლო ძირითადი საშუალებების ზრდამ შეადგინა 3943563 ლარი. მთლიანობაში წლის ბოლოს აქტივები გაიზარდა 19.57%-ით [3794178 ლარით] და შეადგინა 23186595 ლარი. აქტივის ზრდა დადებითად აისახება საწარმოს მდგომარეობაზე, ვინაიდან აქტივი წარმოადგენს საწარმოს რესურსს და მის ფუნქციონირებას უწყობს ხელს, თანაც აქტივების ზრდის 72.57% საკუთარი კაპიტალის ზრდაზე მოდის, რომელიც 2753383 ლარით გაიზარდა წლის დასაწყისთან შედარებით და მხოლოდ 27.43% ამ ზრდისა არის დამოკიდებული ვალდებულებებზე.

ის ფაქტი, რომ აქტივები ზრდის ტენდენციით ხასიათდება და ამ ზრდაში მეტი წილი საკუთარ კაპიტალს უჭირავს მიანიშნებს საწარმოს სწორ პოლიტიკაზე. სასურველი იქნება, თუ მმართველი ორგანო შეძლებს და შეინარჩუნებს ამ ტენდენციას და კიდევ უფრო მეტად გაზრდის საკუთარი კაპიტალის წილს შემდეგ წლებში.

თუმცა იმის მიუხედავად, რომ ვალდებულებების ზრდამ აქტივების ზრდაში შედარებით მცირე წილი დაიკავა, მისი სიდიდე მნიშვნელოვნადაა გაზრდილი წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 38.19%-ით, რაც 1040795 ლარია. თუ აქტივების მხოლოდ 14% იყო დაფინანსებული 2018 წლის დასაწყისისთვის ვალდებულებებით და 86% - საკუთარი სახსრებით, წლის ბოლოს ვალდებულებების წილი 16%-მდე გაიზარდა, ზრდის ტემპი იქნება 114.29% და მატების ტემპი შესაბამისად 14.29%.

კარგი იქნება, თუ შემდეგ წლებში შემცირდება ვალდებულებების ზრდა, ვინაიდან რაც მეტად იზრდება ვალდებულებების სიდიდე, მით მეტად დამოკიდებული ხდება საწარმო სხვებზე და შესაბამისად იზრდება რისკებიც.

ასევე, შპს იფქლის მოგება/ზარალის ანგარიშგებაზე ჩატარებული ფინანსური ანალიზის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამონაგები და არასაოპერაციო შემოსავალი გაზრდილია 2018 წლის ბოლოს 2017 წლის მონაცემებთან შედარებით, მთლიანობაში შემოსავლის ზრდამ 20% შეადგინა, რაც დადებითი მოვლენაა კომპანიებისთვის, რადგან ეს უმეტესად მოგების ზრდასაც უზრუნველყოფს. თუმცა შემოსავლების ზრდასთან ერთად როგორც ვხედავთ გაზრდილია ხარჯების სიდიდეც. ზრდა იმდენად დიდია, რომ აჭარბებს ამონაგების ზრდის ტემპს და საბოლოოდ მიმდინარე პერიოდის მოგების 30%-ით შენცირებამდე მივდივართ.

შესაბამისად საწარმოს მფლობელები გამუდმებით უნდა აკვირდებოდნენ შემოსავლების და ხარჯების სტრუქტურას, ცდილობდნენ შეამცირონ მიმდინარე პერიოდის ხარჯები და გაზარდონ შემოსავალი, რათა მიიღონ მოგების სასურველი მაჩვენებელი. ამისათვის შპს იფქლი გამუდმებით უნდა ეძიებდეს ახალ ბაზრებს თავისი პროდუქციის გასაყიდად, არჩევდეს ხელსაყრელ ტერიტორიებს და ითვლიდეს ამ გაფართოებისთვის საჭირო ხარჯებს, რათა 2018 წელში მომხდარი არ განმეორდეს და მარკეტინგის და რეკლამის ხარჯების ზრდამ ისევ ასეთ ზრდის ტემპს არ მიაღწიოს.

როგორც ცნობილია საწარმოსთვის ყველაზე ლიკვიდურ აქტივს ფულადი სახსრები წარმოადგენს, შესაბამისად მნიშვნელოვანია მისი სიდიდის მუდმივი კონტროლი, რათა ცნობილი იყოს ყველაზე სწრაფად რა რაოდენობა ვალდებულებების დაფარვა იქნება შესაძლებელი.

წლის დასაწყისში, როდესაც მიმდინარე ვალდებულებების სიდიდე მცირე იყო, საწარმოს შესწევდა უნარი სრულად დაეფარა ის ფულადი სახსრების საშუალებით, თუმცა მიმდინარე ვალდებულებების მნიშვნელოვანმა ზრდამ გამოიწვია ის, რომ გაზრდილი ფულადი სახსრები წლის ბოლოს ვედარ ახერხებს სრულად მიმდინარე ვალდებულებების დაფარვას, თუმცა დებიტორულ დავალიანებებთან ერთად ეს შესაძლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანებები სამომავლოდ ფულის შემოსვლაზე მიანიშნებს და შესაბამისად საწარმოსთვის მისი ზრდა ხელსაყრელია, მნიშვნელოვანია მათი ვადების კონტროლი, რათა დროულად შემოვიდეს ფულადი სახსრები საწარმოში და არ გადაიქცეს უიმედო ვალად, წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმოს გაუჭირდება საკუთარი ვალდებულებების დაფარვა და პროდუქციისთვის საჭირო ნედლეულის შეძენა, ეს კი წარმოებას და საბოლოოდ შემოსავლების მიღებას შეუშლის ხელს.

და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ შპს იფქლის საბრუნავი სახსრების ბრუნვის რიცხვი 5-დან 6-მდე გაიზარდა, ბრუნვის პერიოდი დღეებში 67-დან 55-მდე შემცირდა და დაყოვნების კოეფიციენტი 0.18-დან 0.15-მდე. ის ფაქტი, რომ ავანსირებული ღირებულების მოძრაობა დაჩქარდა და წლის განმავლობაში თითოეული საბრუნავი საშუალების საწარმოში დაბრუნებას ნაკლები დრო სჭირდება, საწარმოსთვის დადებითი შედეგების მომტანია, ვინაიდან პროცესების დაჩქარებას და მეტი შემოსავლების მიღებას შეუწყობს ხელს. შპს იფქლი უნდა ეცადოს და შემდეგ წლებში მეტად გაზარდოს ბრუნვის რიცხვი, ხოლო პერიოდი - შეამციროს.

ის ფაქტი, რომ საკუთარი საბრუნავი სახსრები ჭარბობს სასაქონლო - მატერიალურ მარაგებს საბოლოოდ მიუთითებს იმაზე, რომ შპს „იფქლი“ ფინანსური სტაბილურობით ხასიათდება, რაც ძალიან კარგი შედეგია საწარმოსთვის ფინანსური კუთხით.

თუ შპს იფქლი გაითვალისწინებს ანალიზის შედეგებს და ისე განაგრძობს ფუნქციონირებას, მომდევნო წლებშიც შეინარჩუნებს თავის ლიდერ პოზიციებს ბაზარზე და არ დაკარგავს ამ სტაბილურობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. 2018;
2. ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება. 2018;
3. ჭილაძე ი., „ფინანსური ანალიზი“, თბილისი, 2011;
4. ჯიქია მ., „ფინანსური ანალიზი“, თბილისი 2011;
5. ჯიქია მ., ჩეჩელაშვილი რ., ბურდული ფ., „ეკონომიკური ანალიზი“, თბილისი 2011;
6. ჯიქია მ., „ეკონომიკური ანალიზი“, თბილისი 2018;
7. ხარაბაძე ე., ფინანსური აღრიცხვა (მე-2 დონე, ლექციების კურსი), თბილისი, 2018;
8. კვატაშიძე ნ., ხორავა ა., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ., „ბუღალტრული აღრიცხვა“, თბილისი 2014;
9. James C. VanHorne, John M. Wachowicz, Fundamentals of Financial Management (13th edition), FT Prentice Hall, Harlow, 2009;
10. Harrington D.R. Willson B.D. Corporate Financial Analysis. Richard D. Irv=win. Inc1989;
11. ანა ჩეჩელაშვილი სადისერტაციო ნაშრომი „ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და მისი სრულყოფის გზები“, თბილისი 2014;
12. <https://reportal.ge>
13. <http://www.businessdictionary.com/>
14. <http://www.accountingexplained.com>

15. <http://www.accountingtools.com/>
16. <http://www.accountingcoach.com/>

დანართი

დანართი №1

ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
დასახელება	01.01.2018	31.12.2018
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები	1290498	1369053
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1099888	1494065
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	1989808	254563
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	468876	907168
გაცემული სესხები	0	3700
საგადასახადო აქტივი	42051	695025
სხვა მიმდინარე აქტივი	212827	300867
სულ მიმდინარე აქტივები	5103948	5024441
გრძელვადიანი აქტივები		
საინვესტიციო ქონება	6363040	6293161
ძირითადი საშუალებები	7552009	11495572
არამატერიალური აქტივები	33639	33639
გადავადებული საგადასახადო აქტივი	339781	339781
სულ გრძელვადიანი აქტივები	14288469	18162153
სულ აქტივები	19392417	23186595
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	385445	1306821
მიღებული ავანსები	300	800
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	44167	281056
თანამშრომლების მიმართ არსებული ვალდებულება	57996	67484
სულ მიმდინარე ვალდებულება	487908	1656161
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სხვა ფინანსური ვალდებულებები	51000	85000
სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2186436	2024978
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2237436	2109978
სულ ვალდებულებები	2725344	3766139
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	4153565	4153565
გაუნაწილებელი მოგება	12277705	15031088
სხვა რეზერვები	235803	235803
სულ კაპიტალი	16667073	19420456
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	19392417	23186595

დანართი №2

მოგება/ზარალის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
დასახელება	31.12.2017	31.12.2018	გადახრა	ზრდის ტემპი %
ამონაგები	27 656 574	33 164 727	5 508 153	120
არასაოპერაციო შემოსავალი	354 513	422 683	68 170	119
სულ შემოსავალი	28 011 087	33 587 410	5 576 323	120
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13 473 536	17 361 112	3 887 576	129
რეკლამა და მარკეტინგი	730 714	2 197 929	1 467 215	301
მიწოდების დანახარჯები	557 123	976 417	419 294	175
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელო	5 520 767	6 245 099	724 332	113
ცვეთა და ამორტიზაცია	1 179 159	1 745 390	566 231	148
აქტივების გაუჯასურება	149 938	156 406	6 468	104
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	949 899	1 002 645	52 746	106
ფინანსური დანახარჯები	86 072	168 544	82 472	196
მიმდინარე პერიოდის მოგება	5 363 879	3 733 868	-1 630 011	70
მოგების გადასახადი	37 896	21 854	-16 042	58
გაუნაწილებელი მოგება	5 325 983	3 712 014	-1 613 969	70
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში	7 901 154	12 277 705	4 376 551	155
დივიდენდი	949 432	958 631	9 199	101
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	12 277 705	15 031 088	2 753 383	122

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
	2017 წელი	2018 წელი	გადახრა	ზრდის ტემპი %
საოპერაციო საქმიანობა				
საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	31 656 104	37 300 785	5 644 681	118
იჯარიდან მიღებული ფულადი სახსრები	496 829	1 165 360	668 531	235
მიღებული ავანსები	4 390	5 968	1 578	136
გადახდილი თანხების უკან დაბრუნება	54 447	53 277	-1 170	98
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	32 211 769	38 525 389	6 313 620	120
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	-17 690 064	-26 111 730	8 421 666	148
შრომის ანაზღაურება	-5 520 839	-4 940 659	-580 180	89
მივლინება	-12 391	-10 233	-2 158	83
გადახდილი გადასახადები	-2 625 234	-3 566 589	941 355	136
ანგარიშვალდებულ პირზე გაცემული თანხები	-62 898	-277 617	214 719	441
სხვა საოპერაციო ხარჯები	-8 663	-4 484	-4 179	52
იმპორტის გადასახადი	-6 378		-6 378	
შეცდომით გადახდილი თანხები	-5 670	-10 184	4 514	180
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	6 279 633	3 603 893	-2 675 740	57
საინვესტიციო საქმიანობა				
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	62 559	102 213	39 654	163
შვილობილი საწარმოს შერწყმით	228 626		-228 626	0
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	291 185	102 213	-188 972	35
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	-7 041 057	-2 472 099	-4 568 958	35
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-6 749 872	-2 369 886	-4 379 986	35
საფინანსო საქმიანობა				
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	5 636 520	1 251 500	-4 385 020	22
საპროცენტო შემოსავალი	117 041	101 395	-15 646	87
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		740	740	
საფინანსო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	5 753 561	1 353 635	-4 399 926	24
დივიდენდების გადახდა	-901 960	-910 700	8 740	101
სესხის ძირის და პროცენტის გადახდა	-3 518 278	-1 570 894	-1 947 384	45
საბანკო ხარჯები/საკომისიოები	-14 148	-8 003	-6 145	57
საგარანტიო ანარიცხები		-8 200	8 200	
სხვა ფინანსური ხარჯები		-3 114	3 114	
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	1 319 175	-1 147 277	-2 466 452	
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	848 936	86 730	-762 206	10
სავალუტო კურსის ეფექტი		-8 176	8 176	
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	443 899	1 290 498	846 599	291
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	1 290 498	1 369 053	78 555	106